ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის

# 2022 წლის ანგარიში

2023 წელი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის 2022 წლის

# ანგარიში

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდიან:**

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES), თანამშრომლობისა და სხვადასხვა  პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

ევროპის საბჭოს, ცესკოსთან თანამშრომლობით განხორციელებული კვლევის „საქართველოში ქალების (ქალი კანდიდატების) პოლიტიკური მონაწილეობის დამაბრკოლებელი ბარიერები“, ასევე, სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციასა და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2022 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

# სარჩევი


ხედვა, მისია, ღირებულებები 4
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი 5
შესავალი 7
მოკლე შეჯამება 8

**სტრატეგიული პრიორიტეტი 1.** საარჩევნო კულტურა და განათლება 11

**მიზანი 1.1.** ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება 12
**მიზანი 1.2.** ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა 17

**სტრატეგიული პრიორიტეტი 2.** არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება 20

**მიზანი 2.1.** საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა 21
**მიზანი 2.3.** საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერსაფრთხეების აცილების მიზნით 25

**სტრატეგიული პრიორიტეტი 3.** საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები 26

**მიზანი 3.1.** საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება 27
**მიზანი 3.2.** ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით 30
**მიზანი 3.3.** საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა 31
**მიზანი 3.4.** საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა 31

**სტრატეგიული პრიორიტეტი 4.** ინკლუზიური საარჩევნო გარემო 33

**მიზანი 4.1.** საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება 34
**მიზანი 4.2.** თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 37

**სტრატეგიული პრიორიტეტი 5.** მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება 38

**მიზანი 5.1.** მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება 39
**მიზანი 5.2.** ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება 41

დასკვნა 45

# ხედვა, მისია, ღირებულებები

ჩვენი ხედვაა, როგორც ღია, კომპეტენტურმა და სანდო ინსტიტუციამ უზრუნველვყოთ დემოკრატიული საარჩევნო პროცესის განვითარება და განმტკიცება.

ჩვენი მისიაა საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა, თანაბრად ხელმისაწვდომი, ეფექტიანი, ინოვაციური სერვისების მიწოდება ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის, საარჩევნო პროცესების უსაფრთხოდ და სანდოობის საერთაშორისო სტანდარტით წარმართვა.

მისიის წარმატებით განსახორციელებლად გამოვხატავთ კორპორატიულ ერთგულებას შემდეგი ღირებულებებისადმი:

**დამოუკიდებლობა** – ჩვენ ვმოქმედებთ მხოლოდ კანონის ფარგლებში და გადაწყვეტილებებს ვიღებთ არჩევნებში ჩართული მხარეების ზეგავლენისგან დამოუკიდებლად;

**მიუკერძოებლობა** – ჩვენ ვიღებთ ობიექტურ და კანონზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს ყველა მხარის მიმართ;

**გამჭვირვალობა** – ჩვენ უზრუნველვყოფთ საქმიანობის ღიაობას, საჯაროობას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისთვის;

**პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება** – ჩვენ ვმოქმედებთ პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტით და კანონმდებლობით განსაზღვრული ინსტიტუციების გარდა რეგულარულად წარვუდგენთ საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას;

**პროფესიული სანდოობა და ეთიკა** – ჩვენ საარჩევნო პროცესს წარვმართავთ კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოხელეებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საარჩევნო პროცესის სანდოობას;

**ინოვაციურობა და სერვისზე ორიენტირება** – ჩვენ საარჩევნო პროცესში ვნერგავთ სიახლეებს საჭიროებების გათვალისწინებით და ჩართულ მხარეებს ვაწვდით ხარისხზე ორიენტირებულ მომსახურებას;

**ინკლუზიურობა და გენდერული თანასწორობა** – ჩვენ ხელს ვუწყობთ ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას და ვითვალისწინებთ გენდერული თანასწორობის ასპექტებს;

**პროაქტიულობა და ჩართულობა** – ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ყველა დაინტერესებულ მხარესთან სანდო, დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად.

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო მეგობრებო და საარჩევნო ადმინისტრაციის პარტნიორებო,

წარმოგიდგენთ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2022 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს, თუმცა ყველა ჩვენი შედეგი და მიღწევა არის ჩვენი ინსტიტუციის არამხოლოდ 2022 წლის, არამედ მრავალი წლის თავდაუზოგავი მუშაობის შედეგი.

შედეგებსა და მიღწევებს, ჩვენი მუშაობის ხარისხს კარგად უჩვენებს ისიც, რომ წელს, უკვე მეოთხედ, წარმატებით გავიარეთ არჩევნების მართვის სფეროში საერთაშორისო სერთიფიკატის   აუდიტი და განვაახლეთ ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 სერტიფიკატი. ეს სერტიფიკატი მრავალი კრიტერიუმით აფასებს ინსტიტუციას და ისიც აღსანიშნავია, რომ მხოლოდ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ფლობს აღნიშნულ სერტიფიკატს ჩვენს რეგიონში.

2022 წელს გამართული შუალედური არჩევნები ჩვენთვის ტექნოლოგიური საშუალებების პილოტირების კარგი შესაძლებლობა იყო. პირველად საქართველოს არჩევნების ისტორიაში, ჩვენ ჩავატარეთ ამომრჩეველთა ვერიფიკაციის პროცედურა სინქრონიზებული ელექტრონული აპარატების საშუალებით, ასევე ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურებიც სპეციალური აპარატების საშუალებით განხორციელდა. სწორედ ამ ტექნოლოგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი ის, რომ, პირველად საქართველოს არჩევნების ისტორიაში, კენჭისყრის პროცესის დასრულებიდან მოკლე დროში შევძელით არჩევნების წინასწარი შედეგების წარდგენა.

საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა საარჩევნო ადმინისტრაცია დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე, რამაც გააჩინა ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების საჭიროება. ჩვენ 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი წარვმართეთ საკანონმდებლო ცვლილებების, ჩატარებული არჩევნების ანალიზის, მოქმედი სტრატეგიის შუალედური შეფასებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობით.

დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განვახორციელეთ სტრუქტურული ცვლილებები ცესკოს აპარატში. აღნიშნული ცვლილებები განაპირობებს სტრუქტურის ოპტიმიზაციას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინსტიტუციის განვითარებას, თანამშრომელთა საქმიანობებში ჩართულობის ხარისხის ზრდასა და მართვის ეფექტიანობას.

რაც შეეხება საარჩევნო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, რასაკვირველია, კიდევ გვაქვს სამუშაო, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამ პერიოდში ცესკოს სწავლების ცენტრმა შეიმუშავა სასწავლო-საინფორმაციო პროგრამები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის, რომლებიც საუკეთესოდ პასუხობს ქვეყნისა და ჩართული მხარეების წინაშე არსებულ მოთხოვნებს. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას აქაც ჰქონდა და აქვს წარმატება, რაზეც ნათლად მეტყველებს სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების მომართვები გამოცდილების გაზიარების შესახებ. 2022 წელს მოლდოვასა და ჩრდილო მაკედონიის საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებს გავუზიარეთ გამოცდილება სხვადასხვა საკითხზე. საჩუქარიც კი მივიღეთ – მაღალი ხარისხის 10 კომპიუტერი გადმოგვეცა, რაც გააუმჯობესებს თანამშრომლების მუშაობის ხარისხს.

ჩვენ ასევე ვაცნობიერებდით, რომ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საჭიროებდა ახალ მიდგომებს თანამშრომელთა მომზადების კუთხით. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები.

ჩვენ ვაცნობიერებდით, რომ სასწავლო პროგრამების მონიტორინგი არ იყო ჩვენი ძლიერი მხარე და ამოცანად დავისახეთ მისი გაუმჯობესება, რისთვისაც შევქმენით სწავლების მონიტორინგის მენეჯერის პოზიცია, რომლისთვისაც განისაზღვრა მნიშვნელოვანი ფუნქციები აღნიშნული მიმართულებით.

მიუხედავად ბოლო წლებში ცესკოს მიერ გატარებული მრავალი ღონისძიებისა, ყალბი ამბებისა და დეზინფორმაციის გავრცელების პრევენცია გამოწვევად რჩებოდა საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში. ჩვენ კიდევ უფრო სისტემურად მივუდექით აღნიშნულ საკითხს, შევქმენით საინფორმაციო-ანალიტიკური გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებისთვის სწორი, გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებაზე. ჩვენი მიდგომაა, მოხდეს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება უფრო დიდი აუდიტორიისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია საქმიანობის მეტი გამჭვირვალობა, თუმცა ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევა ცესკოს უკვე გაწეული აქვს.

ყოველივე ამისთვის განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით ცესკოს თანამშრომლებს. თუ დღეს საარჩევნო ადმინისტრაციას რაიმე გამოარჩევს სხვა უწყებებისგან, ეს არის მისი თანამშრომლები, თავისი ღრმა კომპეტენციით და ეთიკური სტანდარტებით.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ცესკოს განვითარებაში ქალების მიერ შეტანილი წვლილი. ისინი იყვნენ და არიან წამყვან პოზიციებზე როგორც ცესკოს აპარატსა და სწავლების ცენტრში, ისე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში. ჩვენი წარმატებების დიდი ნაწილი წარმოუდგენელი იქნებოდა მათი უნარებისა და მონდომების გარეშე.

და რიგით ბოლოს და მნიშვნელობით პირველი – უნდა ვახსენო ჩვენი ამომრჩეველი, რომელიც არის ჩვენი საქმიანობის მთავარი შემფასებელი, რომელიც გვიბიძგებს ჩვენ, მეტად განვვითარდეთ და ხელი შევუწყოთ მთელი ქვეყნის დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

**გიორგი კალანდარიშვილი**
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

# შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმის  შესრულების ანგარიშს, რომელიც შემუშავებულია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სტრუქტურული ერთეულების, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი), ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი კვარტალური ანგარიშების საფუძველზე.

ანგარიშის მიზანია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და მათი შედეგის ინდიკატორების, აგრეთვე, საქმიანობების განხორციელების პროგრესის ჩვენება, მიღწევებისა და ხარვეზების გამოვლენა.

წლიური ანგარიშის შედგენის დროს გამოყენებული მეთოდოლოგიის თანახმად, შეფასდა ამოცანები და მათი შედეგების ინდიკატორების შესრულების პროცესი, თუმცა, რიგ შემთხვევებში, ამოცანის შედეგის ინდიკატორების გაზომვა არ იყო შესაძლებელი, რადგან ზოგიერთი საქმიანობა ობიექტური მიზეზების გამო საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა, ან შესაბამისი ამოცანის შესრულება მოიცავდა გრძელვადიან პერიოდს.

ვინაიდან 2022 წელს გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი საქმიანობის შესრულება არ განაპირობებდა ამოცანის შედეგის გაზომვას საანგარიშო პერიოდში, 2023 წლის სამოქმედო გეგმაში, რომელიც განსხვავებული მიდგომით შემუშავდა, გათვალისწინებულ იქნა შეფასების დამატებითი ინსტრუმენტები. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიში ზომავს საანგარიშო პერიოდში თითოეული ამოცანის შესრულებას, ზოგად პროგრესს და დასახული ამოცანის მიღწევის პროცესს. ამოცანის შედეგის ინდიკატორის შესრულება 2022 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით შეფასდა.

2022 წელს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა შემდეგი არჩევნები:

- 2 აპრილს – საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №12 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები, ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №79.04 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში  ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები;
- 1 ოქტომბერს – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით თვითმმართველი თემის - სენაკის მუნიციპალიტეტის №64.04 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში თვითმმართველი თემის – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები.

საარჩევნო ადმინისტრაციამ, ტრადიციულად, საარჩევნო პროცესის ადმინისტრირება ეფექტიანად განახორციელა. ამასთან, ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით დაინერგა არაერთი სიახლე საქმიანობის გამჭვირვალობის, ამომრჩეველთა ინფორმირების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, საარჩევნო პროცედურების გამარტივებისა და საარჩევნო ადმინისტრატორების კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

2022 წელს ჩატარებული არჩევნების ანგარიშები კანონით დადგენილ ვადაში წარედგინა საქართველოს პარლამენტს და განთავსდა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე. შესაბამისად, წინამდებარე წლიური ანგარიში არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას აღნიშნული არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდს. ანგარიშს თან ერთვის განხორციელებული საქმიანობების აღწერა ცხრილის სახით.

---

1. ცესკოს 2021 წლის 28 დეკემბრის №383/2021 განკარგულება.

# მოკლე შეჯამება

წინამდებარე წლიური ანგარიში მომზადებულია საარჩევნო ადმინისტრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება 2020-2023 წლების სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიული გეგმა მოიცავდა ხუთ პრიორიტეტს, 13 მიზანსა და 36 ამოცანას.

2022 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა 12 მიზნის 29 ამოცანის გადაწყვეტას 62 საქმიანობის განხორციელების გზით. გეგმა მოიცავდა, აგრეთვე, ამოცანის შედეგის 35 და საქმიანობის შესრულების 192 ინდიკატორს.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 1. საარჩევნო კულტურა და განათლება

**ამომრჩევლისა და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირების მიზნით,** განხორციელდა ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა ახალგაზრდებისთვის საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში, რომელიც გაიარა 6 762 ახალგაზრდამ. თითქმის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით მიღწეულია დაგეგმილი პროგრესი, რაც გამოიხატა მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის გაზრდითა და მონაწილეთა უმეტესობის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დადებითი შეფასებით. სიახლის სახით, ასევე განახორციელდა საინფორმაციო-სასწავლო კამპანია „ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ღია მმართველობის პროცესში", რომლის მეშვეობით ინფორმაცია საარჩევნო საკითხების შესახებ მიიღო 725-მა ახალგაზრდამ. გარდა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი პროგრამებისა, განხორციელდა საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის.

შემუშავდა სასწავლო მოდული „ინკლუზიური საარჩევნო გარემო", რომელიც დაემატა ოთხ სასწავლო პროგრამას. სასწავლო პროგრამების მონიტორინგის განხორციელების მიზნით, შეიქმნა სწავლების მონიტორინგის მენეჯერისა და სპეციალისტის პოზიცია, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი წესის განახლებაზე.

**ეთიკური ნორმების განმტკიცებისა და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობის მიზნით,** შემუშავდა სამი ახალი ფორმატი, რომელთა ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული საელჩოების წარმომადგენლებთან. ახალი ფორმატების შექმნას საარჩევნო ადმინისტრაცია განიხილავს, როგორც საქმიანობის გამჭვირვალობისა და საჯაროობისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 2. არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება

**საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით,** შეიქმნა დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ქმედითი მექანიზმი – საინფორმაციო-ანალიტიკური ჯგუფი, რომელმაც დაამუშავა 1 503 ინფორმაცია, აქედან გამოიკვეთა ინსტიტუციის მიმართ დისკრედიტაციული ინფორმაციის გავრცელების 203 შემთხვევა. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი – „საარჩევნო პროცესზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტები და ანგარიშგება". ჩატარდა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ორი შეხვედრა. არასაარჩევნო პერიოდში განსახილველ საკითხთა სიმცირის გამო, ცესკოში ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრების ორგანიზების საჭიროება არ დამდგარა. 2022 წლის განმავლობაში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საარჩევნო კომისიებში სულ შემოვიდა და დაკმაყოფილდა 94 წერილი.

ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 საერთაშორისო კონფერენცია თემებზე – „ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო პროცესებში“ და „დეზინფორმაცია და მისი გავლენა საარჩევნო პროცესებზე“. ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა, ცესკოს წევრებმა, საოლქო საარჩევნო კომისიებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, საერთაშორისო დამკვირვებლების სტატუსით, მონაწილეობა მიიღეს 11 სადამკვირვებლო მისიაში, 13 საერთაშორისო კონფერენციაში, სიმპოზიუმსა და სამუშაო შეხვედრაში. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოცდილება გაუზიარა რუმინეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის საარჩევნო ადმინისტრაციებს.

**კიბერსაფრთხეების ასაცილებლად საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით,** 2022 წელს განხორციელებული საქმიანობების შედეგად ამაღლდა კიბერშეტევების აცილების პოტენციალი.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 3. საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები

**საარჩევნო სერვისების მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების მიზნით** საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულმა სერვისებმა ამომრჩევლებსა და ჩართულ მხარეებს გაუმარტივა საარჩევნო პროცესებში მონაწილეობა. ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა, სერტიფიკატი მიიღო 143-მა პირმა. ამომრჩეველთა ერთიანი სია განახლდა ექვსჯერ, აქედან ოთხჯერ – კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში და ორჯერ – შუალედური არჩევნებისთვის.

**ტექნოლოგიების გამოყენებით ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარების მიზნით** განახლდა საჩივრების ონლაინ რეესტრი, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა საჩივრების წარდგენის პროცესი. ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ყველაზე ხშირად ინფორმაციის მიღების წყაროდ ასახელებდნენ ცესკოს ვებგვერდს. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ინფორმაციის მისაღებად უფრო ხშირად იყენებდნენ პირდაპირ ეთერში ტრანსლირებულ სხდომებსა და ცესკოს მიერ ორგანიზებულ საჯარო შეხვედრებს, ვიდრე სოციალურ ქსელებს, განსხვავებით პოლიტიკური პარტიებისგან, რომლებიც ვებგვერდის შემდეგ, ყველაზე ხშირად ინფორმაციას იღებდნენ ცესკოს სოციალური ქსელებით.

**საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით** საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებების ნაწილი გაითვალისწინა საქართველოს პარლამენტმა. ცესკომ შეისწავლა 2021 წლის არჩევნების შესახებ გაცემული რეკომენდაციები.

**საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით** ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროექტების გამოსავლენად დაგეგმილი იდეათა კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა. განახლდა საარჩევნო პროცესების მართვის სისტემა „არმასი“, თუმცა, საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, განიხილება არსებული სისტემის ახალი ვერსიის შექმნის შესაძლებლობა.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 4. ინკლუზიური საარჩევნო გარემო

**საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესების მიზნით,** ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის ჩატარდა საპილოტე პროექტები „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“ და „ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განლაგებულ საჯარო სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა“. 12 მუნიციპალიტეტში განლაგებულ 31 საჯარო სკოლაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები VII-XII კლასების

985 მოსწავლესთან. ჩატარდა შეხვედრები შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ბათუმში, საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. საარჩევნო უბნებზე მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული შშმ პირთა საჭიროებები.

**თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით,** დაიწყო მუშაობა საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის განახლებაზე. ამოქმედდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში სექსუალური შევიწროვების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი. ჩატარდა კვლევა საარჩევნო პროცესში ქალი კანდიდატების წინაშე არსებული ბარიერების შესახებ.

## სტრატეგიული პრიორიტეტი 5. მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება

**მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით,** საარჩევნო ადმინისტრაციამ წარმატებით გაიარა საერთაშორისო საკონტროლო აუდიტი და მიიღო არჩევნების მართვის სფეროში ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის განახლებული სერტიფიკატი. „პირადი ასისტენტის პროექტის" ფარგლებში ჩატარდა ცესკოს აპარატის სტრუქტურის SWOT ანალიზი, საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა „კონკურსებში განაცხადების ელექტრონულად წარდგენის პლატფორმა". ცესკომ აწარმოა საინფორმაციო კამპანია ვებგვერდის, ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიების საშუალებით.

**ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების მიზნით,** 2022 წლის განმავლობაში, ჩატარდა ტრენინგების გეგმით გათვალისწინებული შვიდი ტრენინგი, რომელთა შედეგად პროფესიული კვალიფიკაცია აუმაღლდა საარჩევნო ადმინისტრაციის 262 თანამშრომელს. განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების პროგრამა.

# 01

## ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ 1.

## საარჩევნო კულტურა და განათლება

ეფექტური და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ამომრჩეველთა და სხვა ჩართული მხარეების ინფორმირება, რაც განამტკიცებს საარჩევნო კულტურას, გაზრდის ამომრჩევლებისთვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- ამომრჩევლისა და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება;
- ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა.

**მიზანი 1.1.** ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის<br>4 ინდიკატორი | 10 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების<br>37 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ეფექტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრა და განხორციელება;
- ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება.

**ამოცანა 1.1.1. ეფექტიანი საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრა და განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**

ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა ცოდნა საარჩევნო საკითხებზე ამაღლებულია

საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა გაზრდილია
მონაწილეთა უმეტესობის მიერ საგანმანათლებლო პროგრამა პოზიტიურად შეფასებულია

საარჩევნო საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად საარჩევნო ადმინისტრაცია და სწავლების ცენტრი წლების მანძილზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ახორციელებენ საინფორმაციო-სასწავლო პროგრამებს. 2022 წელს ახალგაზრდებისთვის ჩატარდა ხუთი საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა, რომელთა მეშვეობით ცოდნა საარჩევნო საკითხების შესახებ მიიღო 6 762-მა პირმა.

თითოეული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის კონცეფციით განსაზღვრული იყო შემდეგი მიზნების მიღწევა:

- „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ – ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა;
- „საარჩევნო სამართალი“ – სტუდენტების პროფესიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- იურიდიული კლინიკის ფორმატში საარჩევნო სამართლის პრაქტიკული სასწავლო კურსი;
- საარჩევნო განვითარების სკოლა – სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა და არჩევნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში;
- ახალგაზრდული ბანაკები – არჩევნების პოპულარიზაცია, მონაწილეთა ინტერესის ამაღლება საარჩევნო პროცესებისადმი, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება მოქალაქეობრივი უფლებებისა და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესახებ.

პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ თითქმის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით მიღწეულია დაგეგმილი პროგრესი, რაც გამოიხატა მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის გაზრდითა და მონაწილეთა უმეტესობის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების დადებითი შეფასებით.

2022 წელს სწავლების ცენტრმა ჩაატარა განახლებული პროგრამა – საარჩევნო სამართლის პრაქტიკული სასწავლო კურსი იურიდიული კლინიკის ფორმატში.

ყურადსაღებია სასწავლო პროგრამის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მიმდინარეობა. პროექტი ხორციელდება 2015 წლიდან და ის მონაწილეების მხრიდან მაღალი ინტერესით გამოირჩეოდა, თუმცა 2022 წელს შეიმჩნევა ინტერესის კლება, რაც გამოიხატება მონაწილეთა რაოდენობის მკვეთრად შემცირებაში. 2022 წელს დაგეგმილი იყო პროექტის არანაკლებ 25 მუნიციპალიტეტში, 18-25 წლის 500 ახალგაზრდისთვის ჩატარება, თუმცა ის ჩატარდა მხოლოდ რვა მუნიციპალიტეტში და მონაწილეობა მიიღო 62-მა მონაწილემ. დეტალური ინფორმაცია 2022 წელს განხორციელებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამების შესახებ იხილეთ ცხრილში (1).

**ცხრილი 1.**

| პროგრამის დასახელება | სამიზნე ჯგუფი | განხორციელების არეალი | მონაწილეთა რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|
| | | | 2022 წელი | 2021 წელი |
| არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი | საჯარო სკოლების XI-XII კლასების მოსწავლეები | 64 მუნიციპალიტეტი 300 საჯარო სკოლა | 5 886 | 4 130 |
| საარჩევნო სამართალი | უნივერსიტეტის სტუდენტები | 9 უნივერსიტეტი | 445 | 357 |
| საარჩევნო განვითარების სკოლა | 18-25 წელი | 8 მუნიციპალიტეტი | 62 | 141 |
| ახალგაზრდული ბანაკები | 21-29 წელი | დაბა ბაკურიანი | 224 | 168 |
| იურიდიული კლინიკა | უნივერსიტეტის სტუდენტები | 2 უნივერსიტეტი | 145 | 0 |

2022 წელს, სიახლის სახით, სწავლების ცენტრმა ასევე განახორციელა საინფორმაციო-სასწავლო კამპანია „ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ღია მმართველობის პროცესში“, რომლის მეშვეობით ინფორმაცია საარჩევნო საკითხების შესახებ მიიღო 725-მა ახალგაზრდამ.

გარდა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი პროგრამებისა, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის.

სწავლების ცენტრმა შეისწავლა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკა და განახორციელა სიტუაციური ანალიზი. მონაცემთა შეჯერების საფუძველზე გამოიკვეთა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობა ანგარიშგების კომპონენტზე. რაც შეეხება საარჩევნო პროცესზე მიუკერძოებელი და სტრუქტურირებული დაკვირვების მექანიზმის განმტკიცებას, ამ მიმართულებით სწავლების ცენტრის, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისთან თანამშრომლობით, განხორციელდა პროფილური საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა – „საარჩევნო პროცესზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტები და ანგარიშგება“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 16-მა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებიც მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის დამკვირვებლებად იყვნენ რეგისტრირებულნი ცესკოში და ხელი მოაწერეს საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ეთიკის კოდექსს.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისთან თანამშრომლობით, ჩაატარეს ტრენინგი – „საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის წახალისება“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო მოწვეული 15-დან ცხრა პოლიტიკური პარტიის 27-მა წარმომადგენელმა ქალმა, რომლებსაც 2020 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით მოპოვებული ჰქონდათ მანდატი პარლამენტში და იღებდნენ სახელმწიფო დაფინანსებას.

აღნიშნული პროგრამების მონაწილეთა რაოდენობის სიმცირის გამო, რთულია, ვიმსჯელოთ საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების საარჩევნო ცოდნის ხარისხსა და ჩატარებული სასწავლო კურსების გავლენის შეფასებაზე.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის ზრდას, ის 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 6 762-ით. დეტალური ინფორმაცია მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობის შესახებ 2015-2022 წლების მიხედვით, იხილეთ დიაგრამებში (1-4).

**დიაგრამა 1.**




**დიაგრამა 2.**




**დიაგრამა 3.**



**დიაგრამა 4.**




საარჩევნო ადმინისტრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას მონაწილეების მიერ და შეფასების შედეგების ასახვას ანგარიშში. სემინარების ციკლის „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი" მონაწილე პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შევსებული შეფასების ფურცლების ანალიზის თანახმად, 70 გამოკითხულიდან 66-მა (94%) აღნიშნა, რომ საინფორმაციო შეხვედრამ გაამართლა მათი მოლოდინები. ყველა მონაწილისთვის თემატიკა მოიცავდა მათთვის საკმარის ინფორმაციას. მოსწავლეთა კომენტარებიდან ქვემოთ მოყვანილი ორი ამონარიდი გამოხატავს საერთო განწყობას.

*„ვფიქრობ, მსგავს საკითხს, რომელიც წარმოადგენს ადამიანის არსებით და ფუნდამენტურ უფლებას, უფრო და უფრო მეტი ყურადღება უნდა ენიჭებოდეს. ასევე, უნდა აღვნიშნო, რომ ელექტრონულად ხმის მიცემის პრაქტიკაში განხორციელება საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. შესაბამისად, შეხვედრას დადებითად ვაფასებ".*

*„ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო, ვფიქრობ, რომ მსგავსი შეხვედრები ჩვენი ინფორმირებულობის დონეს გაზრდის, ძალიან მომეწონა. აღნიშნული ტრენინგი დამეხმარა უკვე ჩემ ხელთ არსებული ცოდნის უფრო განმტკიცებაში".*

შემუშავდა სასწავლო მოდული „ინკლუზიური საარჩევნო გარემო", რომელიც ინტეგრირებული იყო შემდეგ ოთხ სასწავლო პროგრამაში: საჯარო სკოლებში XI-XII კლასების მოსწავლეებისთვის ჩატარებული საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა – „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი", სასწავლო პროექტები – „საარჩევნო განვითარების სკოლა" და „ახალგაზრდული ბანაკები", ასევე, უნივერსიტეტებში სემესტრული სასწავლო პროგრამა – „საარჩევნო სამართალი".

აღსანიშნავია, რომ ცესკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, 2022 წელს აქცენტი გაკეთდა სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით, ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტში შეიქმნა სწავლების მონიტორინგის მენეჯერისა და სპეციალისტის პოზიცია, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ სწავლების პროცესის მონიტორინგის განხორციელებაზე. 2022 წელს დაიწყო მუშაობა სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი წესის განახლებაზე, რომელიც დასრულდება 2023 წელს.

**ამოცანა 1.1.2. ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
ინფორმირების კამპანიის პროცესში სიახლეები განსაზღვრული და განხორციელებულია

2022 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. კამპანია 2017 წლიდან ეფექტიანად ხორციელდება და საარჩევნო ადმინისტრაციას მისცა ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერების, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაციის, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების საშუალება.

2022 წელს, კამპანიის ფარგლებში, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და მოხალისეებმა ჩაატარეს 142 შეხვედრა თბილისსა და მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში, მათ შორის 11 – ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, ხოლო მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან, სოფელ ომალოსა და დუისში, ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიამ ჩაატარა ორი შეხვედრა. კამპანიის ფარგლებში მომზადდა და გავრცელდა სამი საინფორმაციო ვიდეორგოლი, აგრეთვე, იუსტიციის სახლთან თანამშრომლობით, საინფორმაციო ფლაერები გავრცელდა იუსტიციის სახლის ყველა, 27-ვე ფილიალში.

2022 წელს, ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა:

- პირველად, საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელები შეხვდნენ შვიდი უნივერსიტეტის[2] სტუდენტებს და მიაწოდეს ინფორმაცია საარჩევნო რეფორმის სიახლეებზე, ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისებისა და იმ ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციამ ბოლო არჩევნებზე პილოტის სახით განახორციელა.
- 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნების პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა და მოხალისეებმა რუსთავის, გარდაბნისა და ბათუმის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართეს ცხრა საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებთან. მათ ამომრჩევლებს მიაწოდეს ინფორმაცია საარჩევნო უფლებისა და შუალედური არჩევნების შესახებ, ასევე, შესთავაზეს ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმება. საუბნო საარჩევნო კომისიებმა, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, გაავრცელეს საინფორმაციო ფლაერები ხმის მიცემის პროცედურების შესახებ და ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა იმ ახალგაზრდა ამომრჩევლებისადმი, რომლებიც პირველად იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში, მათ შორის გავრცელდა სამი ტიპის აზერბაიჯანულენოვანი ფლაერი;
- სენაკის საკრებულოს შუალედური არჩევნების პერიოდში სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა №64.04 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს მიაწოდეს ინფორმაცია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის ჩატარების საპილოტე პროექტის შესახებ, ასევე გამართეს იმიტირებული კენჭისყრა.

2. საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ალტე უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს №1 მთაწმინდის, №2 ვაკის, №6 სამგორის, №13 სიღნაღის, №32 გორის, №37 ახალციხის და №59 ქუთაისის სსკ-ების ხელმძღვანელმა პირებმა.

2022 წელს ცესკოს თავმჯდომარე და სხვა ხელმძღვანელი პირები ახალგაზრდებს აწვდიდნენ ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. იხილეთ გამართული შეხვედრების ჩამონათვალი:

- შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სამოქალაქო განათლების კლუბის „პლურალიზმის პოლიფონია" და სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან;
- შეხვედრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 230 სტუდენტთან;
- შეხვედრა 12 პარტნიორი უნივერსიტეტის 200 სტუდენტთან არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;
- საინფორმაციო შეხვედრა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, მინდობით აღზრდაში მყოფ და ბავშვთა სოფლების ბენეფიციარებთან. ჩატარდა იმიტირებული კენჭისყრა;
- შეხვედრა საქართველოს სტუდენტური პარლამენტის 30 ახალგაზრდასთან, ჩატარდა იმიტირებული კენჭისყრა;
- ცესკოს თავმჯდომარის საჯარო ლექცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, 100 წლისთავისადმი მიძღვნილი 100 საჯარო ლექციის ციკლის ფარგლებში;
- ცესკოს წევრის გიორგი ქიქაბერიძისა და ცესკოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის საჯარო ლექცია სტუდენტებისთვის;
- სტუდენტური დებატ-კლუბი ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და მასთან არსებულ საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან პარტნიორობით, პროექტში მონაწილეობა მიიღო 36-მა სტუდენტმა. ტურნირზე ნახევარფინალში და ფინალში გამარჯვებული მონაწილეები გამოავლინა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ცესკოს თავმჯდომარე და სხვა ხელმძღვანელი პირები, ასევე, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი და აკადემიური სექტორიდან მოწვეული პირები. მეოთხედფინალში და ფინალში გადასულ მონაწილეებს გადაეცათ საარჩევნო ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროექტებში „საარჩევნო განვითარების სკოლა"/ „ახალგაზრდული ბანაკები" მონაწილეობის საგზური.

ასევე, ცესკოს თავმჯდომარემ გამართა საჯარო შეხვედრები საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან, სადაც წარუდგინა ჩატარებული არჩევნების შესახებ ანგარიშები, საარჩევნო ადმინისტრაციის სამომავლო გეგმები და პრეზენტაცია საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

**მიზანი 1.2.** ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის<br>2 ინდიკატორი | 2 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების<br>6 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- პატივისცემასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან;
- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ეთიკური ნორმების პატივისცემის უზრუნველყოფა.

**ამოცანა 1.2.1. პატივისცემასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის თანამშრომლობის მექანიზმები შემუშავებული და შეთავაზებულია

საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობისთვის შემუშავდა ახალი ფორმატები, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო.

ახალი ფორმატი გულისხმობდა სამუშაო შეხვედრების გამართვას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გაიმართა ორი შეხვედრა, სადაც შეხვედრების მონაწილეებმა იმსჯელეს საარჩევნო პროცესში ეთიკის ნორმების დაცვის საკითხებზე და ეთიკის კოდექსის ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობაზე. აღნიშნული დოკუმენტი ყველა საერთო არჩევნების დროს ფორმდება საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის ინიციატივით შექმნილი კიდევ ერთი ახალი ფორმატი გულისხმობდა საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელების შეხვედრას საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან. გამართულ შეხვედრაზე მონაწილეებმა იმსჯელეს კომუნიკაციის გაძლიერებისა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე. აღნიშნულ ფორმატში ექსპერტებთან კომუნიკაცია პირველად შედგა. ამასთან, პროფესიული და კვალიფიციური ექსპერტული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გაზიარება მნიშვნელოვანი იყო საარჩევნო ადმინისტრაციისთვის.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული საელჩოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობისთვის შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ფორმატი. ფორმატის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე მონაწილეებმა იმსჯელეს მიმდინარე საარჩევნო საკითხებზე. ცესკოს თავმჯდომარემ ისაუბრა საარჩევნო პროცესში საერთაშორისო დამკვირვებლების როლის, მიმდინარე საარჩევნო რეფორმისა და ტექნოლოგიების დანერგვის, ამ მიმართულებით არსებული გამოცდილებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.

შეხვედრების მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ახალი ფორმატების შექმნა. ქვემოთ მოყვანილი ორი მოსაზრება გამოხატავს საერთო განწყობას.

*„მსგავსი ტიპის შეხვედრების და პლატფორმების შექმნა მნიშვნელოვანია და არსებითი, იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეები უზრუნველყოფილი იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ჩართულობის ნაწილში, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო პროცედურების, საარჩევნო გარემოს გაჯანსაღების საკითხებს და აისახება როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე სადამკვირვებლო მისიების საქმიანობასა და კეთილსინდისიერებაზე. ეთიკის კოდექსი ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც წლების წინ სწორედ ჩვენი ჩართულობით შემუშავდა და რამაც ხელი უნდა შეუწყოს მხარეების კეთილსინდისიერებას, ანგარიშვალდებულებას და მტკიცებულებებზე დაფუძნებული საქმიანობის განხორციელებას.“*

**ირმა პავლიაშვილი,** ორგანიზაციის „ღია სივრცე კავკასია“ თავმჯდომარე.

*„რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისია, ზოგადად საარჩევნო ადმინისტრაცია თანამშრომლობს, და სურვილს გამოთქვამს თანამშრომლობის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პირიქით.“*

**გიორგი მონიავა,** სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) წარმომადგენელი.

2022 წლის 6 სექტემბერს, ცენტრალური, №64 სენაკის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა ხელი მოაწერეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსს. დოკუმენტზე ხელმომწერები შეთანხმდნენ, რომ იმოქმედებდნენ საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, დაიცავდნენ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, საკუთარი ფუნქციების შესრულებისას იქნებოდნენ კეთილსინდისიერები, დამოუკიდებლები, მიუკერძოებლები და ობიექტურები, იმოქმედებდნენ ღიად და გამჭვირვალედ. ცესკოს თავმჯდომარემ სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა რეკომენდაციით და მოუწოდა, ემოქმედათ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსის პრინციპების დაცვით. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა, თავის მხრივ, ეთიკის ნორმების დაცვის აუცილებლობაზე მიმართეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს.

**ამოცანა 1.2.3. ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილება, აღიარებული სტანდარტები გაზიარებულია და საჭიროებები განხილულია

არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილებისა და აღიარებული სტანდარტების შესწავლისა და გაზიარებისთვის 2022 წლისთვის დაგეგმილი იყო მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის განხორციელება. მომზადდა ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია აღნიშნული კონცეფციის განხორციელება იგეგმება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, ვინაიდან ის საკითხები, რომელსაც საინფორმაციო კამპანია გულისხმობს, განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იძენს და აქტუალური ხდება სწორედ საარჩევნო პერიოდში.

# 02

## სტრატეგიული პრიორიტეტი 2.

## არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება

უსაფრთხო, სანდო  საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად არჩევნებში ჩართულ მხარეებთან ერთად ქმედითი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერსაფრთხეების აცილების მიზნით.

**მიზანი 2.1.** საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 ამოცანა | ამოცანის შედეგის<br>8 ინდიკატორი | 5 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების<br>14 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება;
- საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება;
- გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება.

**ამოცანა 2.1.1. დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**

დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მექანიზმი შექმნილია

დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების რაოდენობა

დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე მყისიერი რეაგირებისთვის, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება. განყოფილების მოვალეობებში შედის მედიამონიტორინგის ჩატარება, ასევე, დეზინფორმაციისა და ყალბი სიახლეების გამოვლენა, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, მონიტორინგის ანგარიშების შემუშავება. დამუშავდა 1 503 ინფორმაცია, რომელთაგან გამოიკვეთა ინსტიტუციის მიმართ დისკრედიტაციული ინფორმაციის გავრცელების 203 შემთხვევა. საარჩევნო ადმინისტრაციამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება გამოვლენილ შემთხვევებთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ტელევიზიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ დეზინფორმაციის შემცველი ინფორმაციის გავრცელების საკითხთან დაკავშირებით, ცესკომ მიმართა როგორც უშუალოდ მედიასაშუალებას, ისე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას. ორივე მათგანმა დაადასტურა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ დეზინფორმაციის გავრცელების ფაქტი.

**ამოცანა 2.1.2. მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა

მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციის ძალისხმევისა, კვლავ გამოწვევად რჩებოდა საარჩევნო პროცესზე მიკერძოებული დაკვირვების პრაქტიკა, რომელიც აზიანებდა ნდობას საარჩევნო პროცესებისა და ადმინისტრაციისადმი, ხოლო ზოგ შემთხვევაში კამპანიური ხასიათი ჰქონდა. მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად საარჩევნო ადმინისტრაცია იყენებდა ორ მექანიზმს: საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად, ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისთან თანამშრომლობით, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი – „საარჩევნო პროცესზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტები და ანგარიშგება" (ინფორმაცია იხილეთ 1.1.1 ამოცანის აღწერის ნაწილში) და მეორე, ჩართული მხარეების ინფორმირება საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოსული განცხადება/საჩივრების სამართლებრივი ანალიზის შედეგების შესახებ.

**ამოცანა 2.1.3. საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის ფორმატები მონაწილეთა მიერ მხარდაჭერილი და შეფასებულია

საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების სანდოობის უზრუნველყოფის საკითხს განიხილავდა, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარის პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე, ცესკო აქტიურად თანამშრომლობდა ყველა ჩართულ მხარესთან და ღია იყო ინიციატივებისთვის, რომლებიც ხელს უწყობდნენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და დემოკრატიული პროცესების განვითარებას. საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოიყენა ყველა შესაძლო საკომუნიკაციო არხი და მიაწოდა ინფორმაცია ჩართულ მხარეებს საარჩევნო პროცესისა და ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ.

საარჩევნო ადმინისტრაციამ გააგრძელა ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ფორმატში. გაიმართა ორი შეხვედრა, რომლებსაც ჯგუფის 32 წევრისგან შესაბამისად დაესწრო 25 (78 პროცენტი) და 16 (47 პროცენტი) მონაწილე. არასაარჩევნო პერიოდში, განსახილველ საკითხთა სიმცირის გამო, ცესკოში ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრების ორგანიზების საჭიროება არ დამდგარა.

**ამოცანა 2.1.4. გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**
საარჩევნო ინფორმაცია გასაჯაროებულია, საჯარო ინფორმაცია გაცემულია და ანგარიშგება უზრუნველყოფილია
სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობა პოზიტიურად შეფასებულია

2021 და 2022 წლებში, საარჩევნო ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის კუთხით, აღსანიშნავია ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით

დანერგილი სიახლეები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის კიდევ მეტ საჯაროობასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. საარჩევნო ადმინისტრაცია აქტიურად იყენებდა სოციალურ ქსელებს საარჩევნო საკითხებით დაინტერესებული აუდიტორიის გასაზრდელად.

2022 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ვებგვერდზე შექმნილ პორტალზე „საარჩევნო ხარჯები" ტრადიციულად გამოაქვეყნა ინფორმაცია შუალედური არჩევნების ხარჯების შესახებ.

2022 წლის განმავლობაში, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საარჩევნო კომისიებში სულ შემოვიდა 94 მოთხოვნა. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ მიღებულა გადაწყვეტილება და, შესაბამისად, არცერთი გადაწყვეტილება არ იქნა გასაჩივრებული.[3]

### ამოცანა 2.1.5. საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**
საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატებისა და ინფორმირების მექანიზმების რაოდენობა
საერთაშორისო პარტნიორების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ დადებითი შეფასებების რაოდენობა

საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად საარჩევნო ადმინისტრაციამ 2022 წელს გამოიყენა სხვადასხვა ფორმატი და შექმნა საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო მისიების, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების ინფორმირების მექანიზმები.

25-26 ოქტომბერს, ევროსაბჭოსთან (CoE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 საერთაშორისო კონფერენცია თემებზე – „ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო პროცესებში" და „დეზინფორმაცია და მისი გავლენა საარჩევნო პროცესებზე". კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 27 ორგანიზაციის 71-მა წარმომადგენელმა (10 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაცია, 13 საერთაშორისო ორგანიზაცია, საარჩევნო ტექნოლოგიებზე მომუშავე ოთხი კომპანია). საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საერთაშორისო პარტნიორებმა დადებითად შეაფასეს განხორციელებული საქმიანობა და ძალისხმევა.

საერთაშორისო პარტნიორებთან გამართულ ღონისძიებებზე ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა განიხილეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა და დაგეგმილი სიახლეები. კერძოდ, საარჩევნო რეფორმის აღსრულება, საარჩევნო გარემო და არსებული გამოწვევები, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია, საჩივრების განხილვის პროცესი, საარჩევნო კომისიების პროფესიული გადამზადება, ამომრჩეველთა და ჩართული მხარეების ინფორმირება, არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება, დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის გავრცელების პრევენციის მექანიზმები. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის ელექტრონული აპარატების მეშვეობით კენჭისყრის განხორციელებაზე.

2022 წელს ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა, ცესკოს წევრებმა, საოლქო საარჩევნო კომისიებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, საერთაშორისო დამკვირვებლების სტატუსით, მონაწილეობა მიიღეს 11 სადამკვირვებლო მისიაში, კერძოდ:

3. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის (ცენტრალური/საოლქო საარჩევნო კომისიები) 2022 წლის ანგარიში იხილეთ ბმულზე: https://www.matsne.gov.ge/sites/default/files/public_institution_reports/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_1837.pdf

- ინდოეთის რესპუბლიკის საერთო არჩევნები (ონლაინ დაკვირვება);
- კორეის საპრეზიდენტო არჩევნები (ონლაინ დაკვირვება);
- ყაზახეთის რესპუბლიკური რეფერენდუმი;
- ფილიპინების რესპუბლიკის ეროვნული საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნები;
- უნგრეთის საპარლამენტო არჩევნები და რეფერენდუმი;
- სლოვენიის რესპუბლიკის საპარლამენტო არჩევნები;
- აშშ-ის კონგრესის შუალედური არჩევნები, კალიფორნიის შტატში, ლოს-ანჯელესში;
- ყაზახეთის რესპუბლიკის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები;
- ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები;
- ბულგარეთის რესპუბლიკის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები (ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა (OSCE/ODIHR) ოფისის მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია);
- ბოსნია და ჰერცეგოვინას საერთო არჩევნები.

2022 წელს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 13 საერთაშორისო კონფერენციაში, სიმპოზიუმსა და სამუშაო შეხვედრაში, სადაც საქართველოს გამოცდილება გაუზიარეს სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებსა და ჩართულ მხარეებს. იხილეთ საერთაშორისო ღონისძიებების ჩამონათვალი:

- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის რიგით მე-7 სხდომა;
- ACEEEO-ს საერთაშორისო სიმპოზიუმი;
- მექსიკის ფედერალური საარჩევნო ტრიბუნალის მიერ ორგანიზებული კონფერენცია;
- ევროპისა და ევრაზიის რეგიონული საარჩევნო სამართლის ქსელის მესამე შეხვედრა;
- სამუშაო შეხვედრა საარჩევნო პროცესებში ქალთა როლის გაძლიერების საკითხებზე;
- სიმპოზიუმი – „უცხოური ფაქტორები და მათი ზეგავლენა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე";
- ვარშავის ადამიანური განზომილების კონფერენცია;
- მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაციის (A-WEB) გენერალური ასამბლეის შეხვედრა;
- საერთაშორისო კონფერენცია – „საარჩევნო ადმინისტრაციების დაცვა დემოკრატიის გლობალური უკუსვლის ერაში";
- ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია დეზინფორმაციის კვლევის საკითხების შესახებ;
- მოლდოვას ცესკოს დაარსებიდან 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, ასევე საერთაშორისო კონფერენცია – „საარჩევნო რეფორმა – მონაწილეობითი დემოკრატიის გაძლიერება, როგორც პრიორიტეტი";
- კონფერენცია – „ხელოვნური ინტელექტი და არჩევნების მთლიანობა";
- სამუშაო შეხვედრა საქართველოს გამოცდილების გაზიარებისთვის ბოსნია და ჰერცეგოვინას საარჩევნო ადმინისტრაციისთვის;
- საერთაშორისო კონფერენცია „საარჩევნო ადმინისტრაციების დაცვა დემოკრატიის გლობალური უკუსვლის ერაში".

2022 წელს ცესკოს თავმჯდომარე და სხვა ხელმძღვანელი პირები ჩართულ მხარეებს აწვდიდნენ ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. იხილეთ გამართული შეხვედრების ჩამონათვალი:

- შეხვედრა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენლობის ახალ ხელმძღვანელთან;
- შეხვედრა ეუთოს ოფისის დირექტორთან;
- შეხვედრა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლეს კომისართან;
- შეხვედრა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტებთან;
- შეხვედრა საქართველოში ერთობლივი ვიზიტით მყოფ ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) წარმომადგენლებთან;
- შეხვედრა ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან;

- ცესკოს თავმჯდომარის შეხვედრა გერმანიის ელჩთან საქართველოში;
- ცესკოს თავმჯდომარის შეხვედრა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის წარმომადგენლებთან;
- ცესკოს თავმჯდომარის შეხვედრა შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში და საელჩოს მრჩეველთან ადამიანური უსაფრთხოების საკითხებში;
- შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში არსებული საელჩოების წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას გამოცდილების გაზიარებისთვის მომართეს რუმინეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის საარჩევნო ადმინისტრაციებმა. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) და ევროსაბჭოს (CoE) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, ცესკოში გაიმართა შეხვედრები, სადაც ცესკოს თავმჯდომარემ და სწავლების ცენტრის დირექტორმა კოლეგებს 2021-2022 წლებში განხორციელებული ინოვაციური პროექტები გააცნეს. დელეგაციების წევრები გაეცნენ საქართველოში საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებასა და სწავლების ცენტრის მიერ საარჩევნო განათლების მიმართულებით დანერგილ პროგრამებს.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის დროს, სიტუაციური ანალიზის განსახორციელებლად ჩატარებული პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ცესკოსა და ჩართული მხარეების თანამშრომლობა შეფასდა ძლიერ მხარედ.

**მიზანი 2.3.** საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერსაფრთხეების აცილების მიზნით

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორი | 2 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 5 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება;
- კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესება.

**ამოცანა 2.3.1. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა

2022 წელს განხორციელდა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით არსებული პროცედურების ანალიზი. განახლდა რისკების დოკუმენტი, რის საფუძველზეც განისაზღვრა და გატარდა პრევენციული ღონისძიებები.

**ამოცანა 2.3.2. კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
კიბერშეტევებისგან დამცავი სისტემების შეფასება ჩატარებულია და დამცავი მექანიზმები დადებითად შეფასებულია

კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, შემოწმდა საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებული საინფორმაციო სისტემები, აღმოიფხვრა გამოვლენილი სისუსტეები და განახლდა/გაძლიერდა კიბერშეტევისგან დამცავი სისტემების ლიცენზიები.

# 03

## სტრატეგიული პრიორიტეტი 3.

### საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები

საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ოთხ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება;
- ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით;
- საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა;
- საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა.

**მიზანი 3.1.** საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის<br>3 ინდიკატორი | 5 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების<br>13 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩეველებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის.

საარჩევნო ადმინისტრაციამ წლების მანძილზე შეიმუშავა და მომხმარებლებს შესთავაზა შემდეგი ვებსერვისები:

- არჩევნების შედეგების ვებგვერდი – https://results.cec.gov.ge/;
- ამომრჩეველთა ერთიანი სიის ვებგვერდი – https://voters.cec.gov.ge/;
- საჩივრების რეესტრი – https://sachivrebi.cec.gov.ge/;
- საჩივრების ელექტრონულად წარდგენის ონლაინ სისტემა – https://elsachivrebi.cec.gov.ge/?fbclid=IwAR2t2SizuSurY1iTCE6zlN_lsYO5ZZGUX81TizL6x0-jVzpQPQKQw3p1ISU;
- პროგრამა სასამართლოს განჩინება სხდომის დანიშვნისა და მესამე პირების ჩაბმის შესახებ – https://ganchineba.cec.gov.ge/;
- კონკურსებში განცხადების ელექტრონულად წარდგენის პლატფორმა – https://konkursi.cec.gov.ge/;
- ელექტრონული კანცელარია – https://publicinfo.cec.gov.ge/;
- ელექტრონული სასწავლო პლატფორმა – https://electiontraining.cec.gov.ge/.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის დროს სიტუაციური ანალიზის განსახორციელებლად ჩართულ მხარეებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გამოკითხული პარტიების 91 პროცენტს გაუმარტივდა საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების დანიშვნის, ხოლო 87 პროცენტს – საჩივრების წარდგენის პროცესი. საჩივრების რეესტრმა, გამოკითხული პარტიების 73 პროცენტისთვის, მეტად ხელმისაწვდომი გახადა ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ყველა გამოკითხული პარტია სარგებლობდა არჩევნების შედეგების გვერდით.

გამოკითხული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ საჩივრების რეესტრმა, ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამამ და არჩევნების შედეგების გვერდმა უფრო ხელმისაწვდომი გახადა ინფორმაციის მიღება და გაამარტივა მათი საქმიანობა საარჩევნო პერიოდში. რაც შეეხება საჩივრების წარდგენის ონლაინ სისტემას, გამოკითხულთა 74 პროცენტისთვის სისტემამ გაამარტივა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული საქმიანობა. ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციამ, რომელსაც საჩივრების წარდგენის ონლაინ სისტემით უსარგებლია, დადებითად შეაფასა შეთავაზებული სერვისები.

გამოკითხვაში მონაწილე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებითა და პროგრამებით ისარგებლეს, თვლიდნენ, რომ არსებულმა ელექტრონულმა სერვისებმა და პროგრამებმა გაამარტივა მათი საქმიანობა, ამასთან, ხელი შეუწყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფდა ცესკოს კონტაქტ-ჰაბი. 2022 წლის განმავლობაში კონტაქტ-ჰაბის სხვადასხვა მომსახურებით ამომრჩევლებმა 2 495-ჯერ ისარგებლეს. კონტაქტ-ჰაბში შემოსული კითხვები ძირითად ეხებოდა შემდეგ საკითხებს: ამომრჩეველთა ერთიანი სია, საკანონმდებლო სიახლეები, საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა. სტატისტიკური ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ იხილეთ დიაგრამაზე (5).

**დიაგრამა 5.**

**ცესკოს კონტაქტ-ჰაბის მიერ გაწეული მომსახურება**




**ამოცანა 3.1.2. საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა იძლევა საარჩევნო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას და პასუხობს ახალ გამოწვევებსა და მოთხოვნებს

ცესკოს ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტული მიმართულებაა მართვასა და საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა. საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, 2022 წლის შუალედური არჩევნების დროს, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურების ელექტრონული აპარატების საშუალებით პილოტირებაზე. აღნიშნული პროცესი დიდ ძალისხმევას, ფინანსურ და ადამიანურ რესურსს მოითხოვდა. შესაბამისად, ცესკომ განსაზღვრა პრიორიტეტული პროექტები, გადაიხედა რამდენიმე შიდა მართვის გამარტივებაზე მიმართული პროგრამა და მათი განხორციელება 2022 წელს შეჩერდა. აღნიშნული გადაწყვეტილება, სხვა პროგრამებთან ერთად, ასევე შეეხო ცესკოს სხდომების ელექტრონულად მართვის სისტემას. შემუშავდა სხდომებზე ცესკოს წევრთა ელექტრონული ავტორიზაციისა და ხმის მიცემის პროგრამის სამართლებრივი და პროგრამული კონცეფცია. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია 2024 წელს.

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 2022 წლის 22 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც ახლებურად ჩამოყალიბდა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და, ასევე, ორგანულ კანონს დაემატა ახალი VIII$^{1}$ თავი – „კენჭისყრის/არჩევნების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარება“. შესაბამისად, ორგანული კანონით დადგინდა, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნები უნდა ჩატარდეს უმრავლეს საარჩევნო ოლქებში/საარჩევნო უბნებში და ამ საარჩევნო ოლქებმა/საარჩევნო უბნებმა

საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 70% მოიცვას. აღნიშნულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა საარჩევნო უბნების შენობების გადახედვის საკითხი. შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული საკითხის სისტემურად დაგეგმვა და განხორციელება მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

2022 წლის 19 თებერვალი-3 მარტისა და 19-30 სექტემბრის პერიოდში ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა. ორივე გამოცდისთვის დარეგისტრირდა 1 759 მოქალაქე, გამოცდაზე გამოცხადდა 592, ხოლო გამოცდა წარმატებით ჩააბარა და სერტიფიკატი მიიღო 143-მა პირმა. საგამოცდო შედეგი გაასაჩივრა ერთმა მოქალაქემ. ცესკოს სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობაზე დამკვირვებლად დარეგისტრირებული იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“.

19-30 სექტემბრის გამოცდის შედეგად, სერტიფიცირებული 72 მოქალაქიდან 53-ს გავლილი ჰქონდა სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასერტიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი სასწავლო კურსი.

**ამოცანა 3.1.3. საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩეველებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორები**
საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეები გამოხატავენ კმაყოფილებას შეთავაზებული გამარტივებული სერვისების მიმართ
ჩართული მხარეებისთვის შეთავაზებული სერვისების რაოდენობა

საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის მონაწილეობის გამარტივების, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების დროისა და რესურსის დაზოგვის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაცია ამომრჩევლებსა და ჩართულ მხარეებს მუდმივად სთავაზობს სხვადასხვა სერვისს. 2022 წელს მომზადდა არასაარჩევნო პერიოდში მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ელექტრონული აკრედიტაციის მოდული, თუმცა, პროგრამის პილოტირება ვერ განხორციელდა, შესაბამისი მომართვის არარსებობის გამო.

2022 წლის განმავლობაში, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებიდან გადმოცემული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ექვსჯერ განახლდა ამომრჩეველთა ერთიანი სია, მათ შორის ორჯერ შუალედური არჩევნებისთვის. კანონმდებლობით გათვალისწინებული ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების შედეგები იხილეთ ცხრილში (2).

**ცხრილი 2.**

| განახლების თარიღი | ამომრჩეველთა რაოდენობა | ქალი | % | კაცი | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 თებერვალი | 3 475 687 | 1 861 187 | 53.55 | 1 614 500 | 46.45 |
| 1 მაისი | 3 469 436 | 1 856 969 | 53.52 | 1 612 467 | 46.48 |
| 15 ივლისი | 3 465 937 | 1 854 546 | 53.51 | 1 611 391 | 46.49 |
| 1 ნოემბერი | 3 470 407 | 1 856 117 | 53.48 | 1 614 290 | 46.52 |

ამომრჩევლებს ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების, ასევე საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის გადამოწმების შესაძლებლობა. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ამომრჩევლებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სია მისაწვდომი იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემები და საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობა, ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებით, ამომრჩევლებმა გადაამოწმეს 4 452 198-ჯერ, აქედან: 4 380 053-მა – ცესკოს ვებგვერდის voters.cec.gov.ge საშუალებით, ხოლო 72 145-მა – Android და iOS ოპერაციული სისტემების გამოყენებით.

**მიზანი 3.2.** ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის<br>2 ინდიკატორი | 3 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების<br>7 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება;
- საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება.

### ამოცანა 3.2.1. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
მომხმარებელთა მიერ ელექტრონული სერვისები გამოყენებულია

ცესკოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელექტრონული სერვისის – საჩივრების ელექტრონულად წარდგენის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გამოვლინდა საჩივრების რეესტრის განახლების საჭიროებები და განვითარების ხედვები. გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით განახლდა საჩივრების ონლაინ რეესტრი, რომელმაც პოლიტიკურ გაერთიანებებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, მატერიალური სახით საჩივრების წარმოდგენასთან ერთად, ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობა მისცა, რამაც საჩივრების წარდგენის პროცესი მნიშვნელოვნად გაამარტივა.

### ამოცანა 3.2.2. საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
მომხმარებელთა კმაყოფილება გაზრდილია

საარჩევნო საკითხებზე ამომრჩეველთა მეტი ინფორმირებისთვის საარჩევნო ადმინისტრაცია მუშაობდა ახალი მობილური აპლიკაციის შექმნაზე, მომზადდა ტექნიკური დავალება, სადაც აისახა სერვისის შესაძლებლობები, სერვისის გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი საჭირო საქმიანობები, საკითხები, რომელთა შესახებ უნდა იყოს ინფორმირებული ამომრჩეველი მობილური აპლიკაციის მეშვეობით. აპლიკაციის შემუშავება დაგეგმილია 2023 წელს.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის დროს, სიტუაციური ანალიზის განსახორციელებლად, ჩატარდა ჩართული მხარეების გამოკითხვა სხვადასხვა საკითხზე. გამოკითხვის შედეგების ანალიზის მიხედვით, პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ყველაზე ხშირად ინფორმაციის მიღების წყაროდ ცესკოს ვებგვერდს ასახელებდნენ. ამასთან, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ინფორმაციის მისაღებად უფრო ხშირად იყენებდნენ პირდაპირ ეთერში ტრანსლირებულ სხდომებსა და ცესკოს მიერ ორგანიზებულ საჯარო შეხვედრებს, ვიდრე სოციალურ ქსელებს, განსხვავებით პოლიტიკური პარტიებისგან, რომლებიც ვებგვერდის შემდგომ, ყველაზე ხშირად ინფორმაციას იღებდნენ ცესკოს სოციალური ქსელებით.

**მიზანი 3.3.** საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ამოცანა | ამოცანის შედეგის 1 ინდიკატორი | 2 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 4 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ერთი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო პროცედურების გამარტივება და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწა.

**ამოცანა 3.3.2. საარჩევნო პროცედურების გამარტივება და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი წინადადებები კანონმდებლობაში ასახულია

საარჩევნო პროცედურების გამარტივებისა და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწის მიზნით, 2022 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დროს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების შესწავლა და ანალიზი. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო საქართველოს საარჩევნო კოდექსის გადასინჯვა ეუთო/ოდირის და ვენეციის კომისიის დასკვნების შესაბამისად. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთ წევრი იყო ცესკო. ჯგუფის ფარგლებში ცესკომ წარადგინა შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს (TI), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA), მრავალეროვანი საქართველოსა (PPMG) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) შუალედური და საბოლოო ანგარიშების ანალიზი.

**მიზანი 3.4.** საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორი | 3 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 7 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა;
- ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცედურების გამარტივება.

**ამოცანა 3.4.1. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
შესაბამისი საარჩევნო ტექნოლოგიები იდენტიფიცირებულია

ინოვაციური საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობების გამოსავლენად, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეისწავლა საერთაშორისო კარგი პრაქტიკა, მათ შორის სხვა სახელმწიფოში მცხოვრები ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

ცესკომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, ჩაატარა იდეათა კონკურსი ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროექტების გამოსავლენად. 18-35 წლის კონკურსანტებს მოეთხოვებოდათ ინოვაციური, საზოგადოების ინფორმირებაზე ორიენტირებული, საარჩევნო ადმინისტრაციის მანდატის ფარგლებში პროექტის იდეის წარმოდგენა. კონკურსში შემოსული ხუთი განაცხადის განხილვის შედეგად, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით არცერთი განაცხადი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ კრიტერიუმებს, ხოლო შემოსული განაცხადების სიმცირე არღვევდა კონკურსის არსს. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე, იდეათა კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა.

**ამოცანა 3.4.2. ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცედურების გამარტივება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
დანერგილი ტექნოლოგიური ცვლილებები პოზიტიურად შეფასებულია

საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის განახლდა საარჩევნო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა „არმასი". თუმცა, საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, განიხილება არსებული სისტემის ახალი ვერსიის შექმნის შესაძლებლობაც. არსებული სისტემის საშუალებით შესაძლებელია საარჩევნო ინფორმაციის გაცვლა ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის, უფლებამოსილ საარჩევნო სუბიექტებს შეუძლიათ ონლაინ დანიშნონ/შეცვალონ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, ასევე, წარმომადგენლები, ხოლო სხვა საარჩევნო სუბიექტებს – მხოლოდ წარმომადგენლები. ონლაინ რეგისტრაციის საშუალება აქვთ ადგილობრივ, საერთაშორისო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებს.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვნად გამარტივდა რეგისტრაციის და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავების პროცესი.

# 04

## სტრატეგიული პრიორიტეტი 4.

### ინკლუზიური საარჩევნო გარემო

თანაბარი, ყველასათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს განვითარება, საარჩევნო პროცესში ყველა მხარის ჩართულობის ხელშეწყობა.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება;
- თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა.

**მიზანი 4.1.** საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის 2 ინდიკატორი | 7 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 22 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით;
- საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისება.

**ამოცანა 4.1.1. საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

საარჩევნო ადმინისტრაციამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საარჩევნო პროცესში ჩართულობისთვის გამოიყენა შემდეგი მექანიზმები:

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განლაგებულ საჯარო სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპონენტის გაძლიერებისა და არჩევნებში მოქალაქეების ჩართულობის მნიშვნელობის გააზრების მიზნით, სწავლების ცენტრმა განახორციელა საპილოტე პროექტი „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“. პროექტისთვის გადამზადდა რვა მუნიციპალიტეტის 25 საჯარო სკოლის 51 პედაგოგი, მათ შორის – 25 აზერბაიჯანულენოვანი, ხოლო 26 – სომხურენოვანი სექტორიდან.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, განახორციელეს ახალი პროექტი „ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განლაგებულ საჯარო სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა“. საჯარო სკოლების თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების პროცედურებზე გადამზადდა საჯარო სკოლების 22 მასწავლებელი, რომლებმაც, თავის მხრივ, მოახდინეს მოსწავლეთა ინფორმირება სკოლის თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატის, საარჩევნო კომისიის წევრისა და ამომრჩევლის რანგში მონაწილეობის საკითხებზე. შემუშავდა სარეკომენდაციო ხასიათის დამხმარე ინსტრუქცია, ასევე, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების ჩართულობით, საჯარო სკოლები აღიჭურვა საარჩევნო ინვენტარით (კენჭისყრის კაბინები და საარჩევნო ყუთები). პროექტი საპილოტე რეჟიმში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რვა მუნიციპალიტეტში (ბოლნისი, დმანისი, წალკა, მარნეული, გარდაბანი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა) განლაგებულ 21 საჯარო სკოლაში განხორციელდა.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების

ცენტრის ორგანიზებით, 12 მუნიციპალიტეტში განლაგებულ 31 საჯარო სკოლაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები VII-XII კლასების მოსწავლეებთან. მოსწავლეებმა განიხილეს საარჩევნო პროცესში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშემწყობი პირობები და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისები. პროექტში პარტნიორებად ჩართულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა კი შეხვედრის მონაწილეებს საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით გამოცდილება გაუზიარეს. საჯარო სკოლებში მოეწყო კენჭისყრის იმიტირებული პროცესები, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებმა მოირგეს როგორც ამომრჩევლის, ისე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა როლები. პროექტში მონაწილეობა 985-მა ახალგაზრდამ მიიღო, მათ შორის იყო 553 (57%) ქალი და 432 (43%) კაცი.

საერთო-სამოქალაქო მოძრაობასთან „მრავალეროვანი საქართველო" და ა(ა)იპ „სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი" თანამშრომლობით, გაიმართა ცესკოს წარმომადგენლების შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია შუალედური არჩევნებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის ცესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ასევე, იმ სერვისების შესახებ, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩევლებს სთავაზობდა, მათ შორის, აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი საარჩევნო ბიულეტენი, ბიულეტენის შევსების წესი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, (სამაგიდო და კედელზე გასაკრავი) და ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი.

2022 წელს ჩატარდა გამოკითხვა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საკომუნიკაციო არხების გამოყენების შესახებ, სადაც გამოიკითხა 232 პირი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაცია სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე განთავსებული ვიდეორგოლის მეშვეობით მიიღო გამოკითხულთა 78-მა პროცენტმა;
- არჩევნებში მონაწილეობის დროს აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ნათარგმნი ბიულეტენით ისარგებლა 64-მა პროცენტმა;
- ცესკოს ვებგვერდზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემები აზერბაიჯანულ ენაზე გადაამოწმა გამოკითხულთა 21-მა პროცენტმა, ხოლო სომხურ ენაზე – 32-მა პროცენტმა;
- ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის კონტაქტ-ჰაბის მეშვეობით აზერბაიჯანულ ენაზე მიიღო გამოკითხულთა 18-მა პროცენტმა, ხოლო სომხურ ენაზე – 31-მა პროცენტმა.

### ამოცანა 4.1.2. საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისება

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

საარჩევნო ადმინისტრაციამ 2022 წელს ჩატარებული შუალედური არჩევნების დროს, საარჩევნო პროცესებში შშმ პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მათი საჭიროებების გათვალისწინებით აღჭურვა საარჩევნო უბნები, მისაწვდომი გახადა საინფორმაციო მასალები, გადამზადდა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები და დაინერგა არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მონაწილეობასთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება.

2022 წელს ჩატარებული შუალედური არჩევნების კენჭისყრის დღეს შშმ პირებისთვის საარჩევნო უბანზე ტრადიციულად მისაწვდომი იყო შემდეგი სერვისები:

- ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის – ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა;

- მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ორი ცალი გამადიდებელი ლინზა;
- უსინათლო ამომრჩევლებისთვის – საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა;
- ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი.

ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობაზე საკანონმდებლო რეგულაციის შესახებ ინფორმირებისთვის ცესკომ სატელევიზიო ეთერში განათავსა ვიდეორგოლი.

ცესკოს ვებგვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა“ განთავსდა დეტალური ინფორმაცია საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის დასურათებულ ფორმატშიც. ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით მომზადებული ვიდეორგოლები ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით. ასევე, ცესკოს საინფორმაციო ბრიფინგები პირდაპირ ეთერში შუქდებოდა სურდოთარგმანის თანხლებით.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, შეეძლო ინფორმაციის მიღება ვიდეოზარის საშუალებით, ცესკოს კონტაქტ-ჰაბის ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორისგან. ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდები მისაწვდომი იყო უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის.

22 მარტს, ბათუმში, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ და „ყრუთა კავშირი“ თანამშრომლობით გაიმართა ცესკოს თავმჯდომარისა და ხელმძღვანელი პირების შეხვედრა შშმ ამომრჩევლებთან. ცესკოს თავმჯდომარემ მათ პირადად გააცნო ინფორმაცია შუალედური არჩევნებისთვის დაგეგმილი ტექნოლოგიური სიახლეებისა და კენჭისყრის დღეს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის მათთვის მისაწვდომი სერვისების შესახებ. ცესკოს თავმჯდომარემ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო შშმ ამომრჩეველთა მიმართ საარჩევნო ადმინისტრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები.

შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობისთვის, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები გადამზადდნენ სასწავლო მოდულის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობა“ მიხედვით.

საარჩევნო პროცესებში შშმ პირებისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისების მექანიზმების გამოსავლენად, ცესკომ შეისწავლა 15 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკა არჩევნებში მონაწილე შშმ პირთა სტატისტიკის წარმოების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია განხილულ იქნა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის 25 წევრთან დისტანციური შეხვედრის ფორმატში.

საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საკანონმდებლო წინადადების პაკეტში გათვალისწინებული იყო ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადება. საკანონმდებლო წინადადება წარედგინა საქართველოს პარლამენტს, რომელიც დადგენილ იქნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის გარდამავალ ნორმად, ხოლო გარდამავალი ნორმის მოქმედების ვადა გახანგრძლივდა 2026 წლის 1 იანვრამდე.

მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციისა და საინფორმაციო მასალების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შესწავლილი იქნა ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, მოლდოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება. შემუშავდა მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის საინფორმაციო მასალების მისაწვდომობის პროექტი, რომელიც გაზიარებულ იქნა ცესკოში შექმნილი შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრი ორგანიზაციისთვის, ასოციაცია „ანიკა“-სთვის, რომელსაც მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია მხარდაჭერის მიმღები პირების საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, დოკუმენტი წარედგინა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებს. 2023 წელს აღნიშნული პროექტი განახლდება

ტექნოლოგიურ სიახლეებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ჭრილში კენჭისყრის პროცედურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

**მიზანი 4.2.** თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 ამოცანა | ამოცანის შედეგის<br>2 ინდიკატორი | 5 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების<br>12 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ორი ამოცანის გადაჭრა:

- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება;
- საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება.

**ამოცანა 4.2.1. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა

საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა – გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. 2022 წელს განახლდა ცესკოში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა, რომლის ძალისხმევით გადაიხედა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის განახლებაზე. გაღრმავდა თანამშრომლობა ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, მათ შორის „UN Women“-თან და საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან.

2022 წელს, გენდერულ პორტალზე განთავსდა ჩატარებული შუალედური არჩევნების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გენდერულ ჭრილში, შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო ადმინისტრაცია, საარჩევნო სუბიექტები, ამომრჩეველთა სია, დამკვირვებლები და მედია. 2022 წელს პორტალით 8 000-ზე მეტჯერ ისარგებლა 1 314-მა მომხმარებელმა. შემუშავდა და ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს წარედგინა პორტალის გაუმჯობესების კონცეფცია. მიღწეულ იქნა შეთანხმება საერთაშორისო ორგანიზაციასთან პორტალის განახლებასთან დაკავშირებით, რაც 2023 წლისთვის არის დაგეგმილი.

ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ძალისხმევით, დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, შემუშავდა არჩევნების ისტორიის ბუკლეტი. ბუკლეტი მომზადდა ქართულ და ინგლისურ ენებზე და პრეზენტაცია დაგეგმილია 2023 წლის გაზაფხულზე.

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე ამოქმედდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში სექსუალური შევიწროვების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი.

**ამოცანა 4.2.2. საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისების მიზნით გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა

ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭომ, ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით, ჩაატარა საარჩევნო პროცესში ქალი კანდიდატების წინაშე არსებული ბარიერების კვლევა. კვლევის შედეგები წარედგინება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

# 05

## სტრატეგიული პრიორიტეტი 5.

### მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება

მართვის ეფექტიანობის ზრდისა და ინსტიტუციური სრულყოფის შედეგად არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის სათანადო ხარისხის სერვისების მიწოდება.

სტრატეგიული პრიორიტეტი მოიცავდა ორ სტრატეგიულ მიზანს:

- მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება.

**მიზანი 5.1.** მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება

| | | | |
|---|---|---|---|
| 4 ამოცანა | ამოცანის შედეგის 4 ინდიკატორი | 11 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების 31 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო ოთხი ამოცანის გადაჭრა:

- ხარისხის მართვის სტანდარტის (ISO) განვითარება;
- რისკებისა და კრიზისების  მართვის შესაძლებლობების განვითარება;
- ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება.

**ამოცანა 5.1.1. მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) განვითარება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) შენარჩუნებულია და საკონტროლო აუდიტი წარმატებით გავლილია

მართვის ეფექტიანობისა და ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, სააკრედიტაციო ავსტრიული ორგანიზაციის „ტუვ ავსტრიის“ (TUV AUSTRIA CERT GMBH) საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015-ის შიდა და გარე საკონტროლო აუდიტის წარმატებით გავლის საფუძველზე, 2022 წელს ცესკოს მიენიჭა განახლებული ISO ხარისხის სერტიფიკატი.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის სახელმძღვანელო. სამმა თანამშრომელმა გაიარა სასერტიფიკაციო ტრენინგი შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, იდენტიფიცირებულ იქნა გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსების საჭიროება, მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ცესკოში, ისე საოლქო საარჩევნო კომისიებში.

**ამოცანა 5.1.2. რისკებისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
რისკები იდენტიფიცირებულია და კრიზისების მართვის მექანიზმები შემუშავებულია

საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ფუნქციების შესრულების შეუძლებლობის გამო, ფუნქციების განაწილების, დროებით დაკისრების/შეთავსების მიზნით, ბიზნესპროცესებში განისაზღვრა ფუნქციის ძირითადი და დამხმარე შემსრულებლები. ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე დადგინდა ინდივიდუალური შემსრულებელი პირები, მენტორები, რომლებმაც გადაამზადეს შესაბამისი ფუნქციის შემსრულებელი შეგირდები.

2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით, მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 დადგენილებაში ინიცირებული

ცვლილებების შესაბამისად, ჩატარდა ცენტრალური, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისა და სწავლების ცენტრის თანამშრომელთა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგებზე დამსწრე პირთა, აგრეთვე, კენჭისყრის დღეს ადგილობრივი დამკვირვებლების, საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების სწრაფი ანტიგენის ტესტით, ხოლო პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების PCR ტესტით ტესტირება.

**ამოცანა 5.1.3. ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
ელექტრონული შესაძლებლობები შექმნილი და დანერგილია

საარჩევნო ადმინისტრაცია მაქსიმალურად იყენებდა ელექტრონულ ინსტრუმენტებს, თანამედროვე პროგრამებს, რითაც ზოგავდა ადამიანურ რესურსს, მაქსიმალურად ამარტივებდა პროცედურებს და, შედეგად, აუმჯობესებდა მართვის პროცესს. 2022 წელს, ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსების გამო, ზოგიერთი პროექტი შეჩერდა. მათ შორის, ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, არასაკმარისი ფინანსური რესურსების, ასევე ახალი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განსხვავებული სტრუქტურით შემუშავების გამო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნის შეჩერება.

მომავალი საანგარიშო პერიოდისთვის გადაიდო ცესკოს დაგეგმვისა და ანგარიშგების პროგრამის შემუშავება.

ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოებისა და დაარქივების შესაძლებლობის შესწავლის მიზნით, განისაზღვრა ელექტრონული დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის წესი შესაბამისი დანართებით: ა) ცესკოს სტრუქტურული ერთეულებიდან გადმოცემული ელექტრონული საარქივო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი და ბ) ელექტრონული დოკუმენტების/ფაილების აღმწერი კატალოგი/სააღრიცხვო ბარათი.

ცესკომ შეისწავლა სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ხელშეკრულებების პროექტების ელექტრონული წარმოების შესაძლებლობა. ამ მიზნით გაიმართა მოლაპარაკებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან, რომლის შედეგად საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემა „eDocument“-ში ინტეგრირდა ცესკოს მდივნის განკარგულების ბლანკი და გათვალისწინებულ იქნა ყველა შესაძლო ტექნიკური მოთხოვნა. გატარებული საქმიანობის შედეგად, დაიწყო ცესკოს მდივნის განკარგულებების ელექტრონული წარმოება. ასევე, აღნიშნულ საკითხებზე, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენელთან ერთად, ჩატარდა ტრენინგი ცესკოს თანამშრომლებისთვის.

**ამოცანა 5.1.4. ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
ინსტიტუციური ეფექტიანობის ხელშემწყობი მექანიზმები გაუმჯობესებულია

ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო ცესკოს აპარატის სტრუქტურის SWOT ანალიზის ჩატარება. „პირადი ასისტენტის პროექტის“ განხორციელების შედეგად, ჩატარდა აპარატის ფუნქციური ანალიზი დეპარტამენტების ბიზნეს პროცესების ეფექტურობასთან მიმართებაში. ანალიზის შედეგები წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელობას. ცესკოს აპარატში შიდა კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად იგეგმებოდა

შიდა საკომუნიკაციო ქსელის – HR პორტალის შექმნა, მაგრამ, ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროექტის განხორციელება შეჩერდა.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ვაკანტურ ადგილებზე განაცხადის წარმოდგენის პროცესის გამარტივების მიზნით, შეიქმნა და 2022 წლის 2 აპრილის შუალედურ არჩევნებზე საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა „კონკურსებში განაცხადების ელექტრონულად წარდგენის პლატფორმა“. ამ ეტაზე კონკურსებზე და საგანმანათლებლო პროექტებზე განაცხადები მიიღება ხდება ელექტრონულად.

სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ახალი სასწავლო პროექტი – პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“. მომზადდა სააკრედიტაციო დოკუმენტაცია, რომელიც 2022 წლის 28 დეკემბერს აკრედიტაციისთვის წარედგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ცესკომ აწარმოა აქტიური საინფორმაციო კამპანია ცესკოს ვებგვერდის, ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიების გამოყენებით. საინფორმაციო კამპანია ასევე მოიცავდა ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის ოფიციალურ გვერდებს სოციალურ ქსელებში. საინფორმაციო კამპანიის ორი ძირითადი მიმართულება იყო საარჩევნო ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობის გაშუქება და 2022 წლის შუალედური არჩევნების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

ცესკოს ვებგვერდზე ოპერატიულად თავსდებოდა ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე პროცესების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ცესკოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა 214 ინფორმაცია. საინფორმაციო-ანალიტიკურმა განყოფილებამ დაამუშავა 1 503 ინფორმაცია, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას ეხებოდა. ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 203 ინფორმაცია შეიცავდა საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ დეზინფორმაციას. მომზადდა თემატური მოკვლევის ანგარიშები, რომლებიც გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე.

სხვადასხვა საკითხზე გაიმართა 15 ბრიფინგი. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბრიფინგი გაშუქდა სურდოთარგმანის თანხლებით.

ვინაიდან, არჩევნები საპილოტე რეჟიმში ტარდებოდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, მომზადდა და გავრცელდა საინფორმაციო მასალა, შესაბამისი რეგიონული ტელეკომპანიების ეთერში განთავსდა ვიდეორგოლი ხმის მიცემის პროცედურების შესახებ, რომელიც კენჭისყრის დღეს ყველა საარჩევნო უბანზე გადიოდა სპეციალურად დამონტაჟებულ მონიტორებზე. ასევე, მომზადდა კიდევ ორი ვიდეორგოლი, რომლებიც ითარგმნა აზერბაიჯანულ ენაზე: კენჭისყრის პროცედურების შესახებ და თვითიზოლაციაში მყოფი ამომრჩევლებისთვის. გარდა ამისა, მომზადდა და გავრცელდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი ფლაერი.

**მიზანი 5.2.** ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 3 ამოცანა | ამოცანის შედეგის<br>3 ინდიკატორი | 7 საქმიანობა | საქმიანობის შესრულების<br>37 ინდიკატორი |

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული იყო სამი ამოცანის გადაჭრა:

- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება;
- ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცება.

**ამოცანა 5.2.1. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
პროფესიული განვითარების მექანიზმების რაოდენობა

2022 წელს თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სასწავლო პროგრამები როგორც ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის, ისე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის.

2022 წელს, თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის, ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის შედეგად, მომზადდა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა ტრენინგების წლიური გეგმა. გეგმის მიხედვით დაგეგმილი იყო ათი ტრენინგის ჩატარება, თუმცა პრიორიტეტული მნიშვნელობის საკითხებიდან გამომდინარე ჩატარდა შვიდი ტრენინგი, რომელთა მეშვეობით გადამზადდა 262 პირი. ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგების შესახებ იხილეთ ცხრილში (3).

**ცხრილი 3.**

| სასწავლო კურსის დასახელება | | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | დაგეგმვა, ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება | 34 |
| 2 | ტრენერის პროფესიული უნარები და ონლაინ-სწავლების რესურსების გამოყენების ტექნიკა | 168 |
| 3 | eDocument | 11 |
| 4 | მედიასთან ურთიერთობა, კამერასთან მუშაობა, სპიკერის უნარების გაუმჯობესება | 2 |
| 5 | მედიამონიტორინგი | 7 |
| 6 | ISO ხარისხის სტანდარტების გაცნობა, ხარისხის ფლობის მნიშვნელობა, პროცედურული საკითხების გაცნობა | 37 |
| 7 | შრომის უსაფრთხოების სასერტიფიკაციო კურსი | 3 |

ტრენინგების წლიური გეგმის გარდა, ჩატარდა შემდეგი სამი კურსი: სექსუალური შევიწროვების პრევენცია – ყველა თანამშრომლისთვის (ონლაინ ფორმატში), საორიენტაციო-სასწავლო პროგრამა – „საარჩევნო ადმინისტრაცია და საარჩევნო პროცედურები“ – 16 ახალდანიშნული თანამშრომლისთვის და ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის მოქმედი სასერტიფიკაციო ტრენინგი – ერთი თანამშრომლისთვის.

გარდა ზემოაღნიშნული ტრენინგებისა, ცესკოს ექვსმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო სასწავლო კურსში – „არჩევნების დაგეგმვა და საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება არჩევნებში – არჩევნების მთლიანობის შენარჩუნება“. სასწავლო კურსი ორგანიზებული იყო ინდოეთის საარჩევნო კომისიისა და დემოკრატიისა და არჩევნების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (IIIDEM) მიერ.

საარჩევნო ადმინისტრაციამ განახორციელა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისა და ცესკოს აპარატის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების პროგრამა სხვადასხვა მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა პროგრამაში მონაწილეობა მიიღო მეტმა პირმა, ვიდრე ეს თავდაპირველად საქმიანობის ინდიკატორით იყო განსაზღვრული. ინფორმაცია ჩატარებული ტრენინგებისა და მონაწილეების რაოდენობის შესახებ იხილეთ ცხრილში (4).

**ცხრილი 4.**

| # | ტრენინგის დასახელება | ინდიკატორით განსაზღვრული რაოდენობა | მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | საქმისწარმოების ზოგადი წესი და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) მუშაობა | სსკ-ს 150 წევრი | სსკ-ს 325 წევრი |
| 2 | სამართლებრივი წერა | სსკ-ს 150 წევრი | სსკ-ს 365 წევრი |
| 3 | საოლქო საარჩევნო კომისიების შესაძლებლობების გაძლიერება საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება | სსკ-ს 150 წევრი | სსკ-ს 350 წევრი<br><br>ცესკოს აპარატის 11 თანამშრომელი |
| 4 | მანდატის შესაბამისი უფლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი აქტების ძირითადი ასპექტების მიმოხილვა | სსკ-ს 260 წევრი<br><br>ცესკოს აპარატის 80 თანამშრომელი | სსკ-ს 384 წევრი<br><br>ცესკოს აპარატის 49 თანამშრომელი |
| 5 | საზოგადოებასთან ურთიერთობა | სსკ-ს 100 წევრი | სსკ-ს სრული შემადგენლობა |
| 6 | შშმ პირებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ | სსკ-ს 260 წევრი<br><br>ცესკოს აპარატის 100 თანამშრომელი | სსკ-ს 356 წევრი<br><br>ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის ტრენინგი არ ჩატარდა |
| 7 | გენდერული თანასწორობა | სსკ-ს 255 წევრი<br><br>ცესკოს აპარატის 100 თანამშრომელი | სსკ-ს 318 წევრი<br><br>ცესკოს აპარატის 45 თანამშრომელი |

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების პროფესიული გადამზადების პროგრამის მიხედვით შემუშავდა სატრენინგო მოდული „ფინანსური მენეჯმენტი“, თუმცა ტრენინგის ჩატარების საჭიროება არ გამოვლინდა და ტრენინგი გადაიდო.

სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველი მოქალაქეებისთვის დისტანციურ რეჟიმში ჩაატარა საპილოტე პროექტი – „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსი“. გამოცდაზე რეგისტრირებული 1 033 მოქალაქიდან კურსის გავლაზე თანხმობა 755-მა (73%) განაცხადა, მათგან სასწავლო კურსი 294-მა (39%) მონაწილემ გაიარა.

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ცესკოს აპარატში მენტორის სტატუსი მიენიჭა 10 პირს. საანგარიშო პერიოდის მენტორებმა და შეგირდებმა წარადგინეს ანგარიშები შესრულებული საქმიანობისა და მიღწეული პროგრესის შესახებ, რომელთა საფუძველზე გამოვლინდნენ წლის მენტორები.

**ამოცანა 5.2.2. ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
კვალიფიციური ადამიანური კაპიტალი შენარჩუნებულია, წახალისების მექანიზმები დანერგილია

ცესკოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ძირითადი მიდგომები რეკრუტირების მოდელისა და არამატერიალური წახალისების ღონისძიებების კუთხით.

2022 წელს, კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, დასაქმების ფორუმის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტებთან. საარჩევნო ადმინისტრაციაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე განცხადების წარდგენის გასამარტივებლად შეიქმნა ელექტრონული პლატფორმა.

**ამოცანა 5.2.3. ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორაციული კულტურის განმტკიცება**

**ამოცანის შედეგის ინდიკატორი**
ორგანიზაციული ეთიკის და კორპორაციული კულტურის განსამტკიცებლად განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა

კორპორაციული კულტურის განმტკიცებას ხელი შეუწყო 2022 წელს გამართულმა ღონისძიებებმა, კერძოდ:  საოლქო საარჩევნო კომისიების უხუცესი წევრების დაჯილდოებამ; ექსკურსიამ – „რთველი კახეთში“. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებულ სამ სოციალური აქციაში და ჰუმანიტარული დახმარების აქციაში უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად.

ცესკოს აპარატში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა კორპორატიული კულტურის მიმართულებით არსებული პრობლემები. თანამშრომლებისთვის ჩატარდა ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის პრეზენტაცია.

2022 წლის დეკემბრის თვეში, კახეთში, ცესკოს აპარატისა და სწავლების ცენტრის თანამშრომელების უპრეცედენტო ჩართულობით, ჩატარდა გასვლითი სამუშაო შეხვედრა შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი სტრატეგიული გეგმის პროექტის გაცნობა/განხილვა, სამოქმედო გეგმის აქტივობების განსაზღვრა, ასევე, მართვის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების, ეთიკის პრინციპების და ღირებულებებისა და კომუნიკაციის მექანიზმის გაცნობა/განხილვა. გასვლითი სამუშაო შეხვედრის შედეგები თანამშრომლებმა დადებითად შეაფასეს.

2022 წლის ივნისში ცესკოს აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სალექციო კურსი „თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობის ხელშეწყობა“, რამაც ხელი შეუწყო თანამშრომელთა მოტივაციის ზრდას, გუნდურობის განმტკიცებასა და კორპორაციული კულტურის განვითარებას.

# დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში მოცემული შეფასება ცესკოს სტრუქტურული ერთეულების/სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი წყაროებისა და კვარტალური ანგარიშების ანალიზს ეფუძნება. ანგარიშები ნაკლებად მოიცავდნენ ანალიტიკურ ინფორმაციას საქმიანობების შესრულების ინდიკატორებთან მიმართებაში და წლიური ანგარიშის შედგენის დროს საჭირო გახდა დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად, 2023 წლისთვის დაგეგმილია ანგარიშების შედგენაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა.

2022 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა 12 მიზნის 29 ამოცანის გადაწყვეტას 62 საქმიანობის განხორციელების გზით. სტრუქტურული ერთეულების/სწავლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ – საარჩევნო ადმინისტრაციის 2022 წლის სამოქმედო გეგმით დაგეგმილი 62 საქმიანობიდან, ინდიკატორების შეფასების ჭრილში, სრულად განხორციელდა 44 (დაგეგმილი საქმიანობების 71 პროცენტი), მეტწილად შესრულდა – რვა (დაგეგმილი საქმიანობების 13 პროცენტი), ნაწილობრივ შესრულდა – ორი (დაგეგმილი საქმიანობების სამი პროცენტი) და არ განხორციელდა ორი საქმიანობა (დაგეგმილი საქმიანობების სამი პროცენტი), შეჩერებულია – ხუთი (დაგეგმილი საქმიანობის რვა პროცენტი) და გაუქმებულია – ერთი (დაგეგმილი საქმიანობის ორი პროცენტი).

გარდა გეგმით გათვალისწინებულისა, ცესკოს სტრუქტურულმა ერთეულებმა და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სხვა დამატებითი საქმიანობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას.

სტატისტიკური ინფორმაცია განხორციელებული საქმიანობების შესახებ იხილეთ დიაგრამაზე (6).

**დიაგრამა 6.**

**დაგეგმილი საქმიანობების შესრულება**



იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო სრულად არ განხორციელდა 2022 წელს, იხილეთ ცხრილში (5).

**ცხრილი 5.**

| **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი** |
|---|---|
| 3.2.2.1 ამომრჩევლებისთვის მობილური აპლიკაციის შექმნა | **არ განხორციელდა** |
| 5.1.3.1 დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა | |
| 3.1.2.1 ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა | **შეჩერებულია** |
| 3.1.2.3 2021 წლის მუნიციპალიტეტის არჩევნების დროს არსებული ადაპტირებული/მისაწვდომი საარჩევნო უბნების შეფასების განხორციელება | |
| 3.2.1.1 ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის სერვისის შესაძლებლობის შესწავლა | |
| 4.2.1.1 გენდერული პორტალის გაუმჯობესება | |
| 5.1.4.4 საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა კომუნიკაციის ქსელის შექმნა | |
| 1.2.3.1 ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ საინფორმაციო კამპანიის განხორციელება | **ნაწილობრივ შესრულდა** |
| 3.1.3.2 საარჩევნო სუბიექტების ონლაინ რეგისტრაციის შესაძლებლობის შექმნა | |
| 5.2.1.1 საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები პოტენციური საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის“ განხორციელება | **გაუქმებულია** |

**საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმების შემუშავება**

2022 წლის 22 დეკემბერს საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა, რომელმაც ახალ საარჩევნო რეფორმას ჩაუყარა საფუძველი, საარჩევნო ადმინისტრაცია დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე, რამაც გააჩინა 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის გადახედვისა და ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების საჭიროება.

ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 24 ოქტომბრის №01-124 ბრძანებით შექმნილი სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი, გეგმაზე მუშაობის დროს, დაეყრდნო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესს. სტრატეგიული გეგმის შემუშავება დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებების, ჩატარებული არჩევნების ანალიზის, მოქმედი სტრატეგიის შუალედური შეფასებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით. გეგმის შემუშავების პროცესი წარიმართა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობით.

სამუშაო ჯგუფმა შემჭიდროვებულ ვადებში მოახდინა თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების განვითარება, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებზე გადამზადდნენ ცესკოს აპარატისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლები (135), ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები (339).

არსებული გარემოს შეფასებისთვის გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები: სამაგიდო კვლევა, ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, SWOT ანალიზი და პრობლემების ხე.

სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით ჩატარდა ფართომასშტაბიანი გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცესკოს აპარატისა (107) და სწავლების ცენტრის (21) თანამშრომლებმა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა (349), საერთაშორისო (4) და ადგილობრივი (23) არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების (11) წარმომადგენლებმა.

არსებული გარემოს შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდა სტრატეგიული გეგმის ლოგიკური ჩარჩო, რომელიც მოიცავდა სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და ამოცანების შედეგების ინდიკატორებს.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების ახალმა მიდგომებმა გააჩინა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის განახლების საჭიროება. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა სიტუაციის ანალიზის ჩატარების, ლოგიკური ჩარჩოსა და სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუქციების შექმნაზე.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად, განისაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების ხედვა და შემდეგი სტრატეგიული პრიორიტეტები:

- საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება;
- ინსტიტუციური გაძლიერება;
- ტექნოლოგიური განვითარება.

ინსტიტუციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საჭირო იყო ცესკოს აპარატში ფუნქციებისა და ადამიანური რესურსის ახლებური გადანაწილება, რომელიც უზრუნველყოფდა დასახული ამოცანების შესრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც განაპირობებს სტრუქტურის ოპტიმიზაციას საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი საჭიროებების გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ინსტიტუციის განვითარებას, გაძლიერებას, თანამშრომელთა საქმიანობებში ჩართულობის ხარისხის გაზრდასა და მართვის ეფექტიანობას.

ახალ სტრატეგიაზე დაყრდნობით, შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ინსტრუმენტს. სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელ აქტივობებს შეიმუშავებენ ცესკოს სტრუქტურული ერთეულები და სწავლების ცენტრი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ისეა შედგენილი, რომ აქტივობების შესრულება განაპირობებს ამოცანების შესრულებას, ხოლო ამოცანების შესრულება უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიულ და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაზე მუშაობა დასრულდება 2023 წელს. სხვა სიახლეებთან ერთად, საარჩევნო ადმინისტრაცია იყენებს ახალ მიდგომას და სტრატეგიული გეგმის სამოქმედო პრინციპად განიხილავს ყველასთვის თანაბარი, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობას, რომელიც გულისხმობს საქმიანობებში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების (შშმ პირები, ეთნიკური უმცირესობები, ქალები) საჭიროებების, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებას.

## ცესკოს სტრუქტურული ერთეულები და სწავლების ცენტრი

- **იურიდიული დეპარტამენტი**
  გიორგი სანტურიანი, დეპარტამენტის უფროსი
- **სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი**[4]
  ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საფინანსო დეპარტამენტი**
  ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**
  რუსუდან ლელაშვილი, დეპარტამენტის უფროსი
- **სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი**[5]
  სოფიო სიჭინავა, დეპარტამენტის უფროსი
- **ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი**
  თამარ ცერცვაძე, დეპარტამენტის უფროსი
- **საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი**
  ეკა ცაბაშვილი, დეპარტამენტის უფროსი
- **ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი)**
  ლალი კიკნაძე, აპარატის (დეპარტამენტის) უფროსი
- **პრეს-სპიკერი**
  ნათია იოსელიანი
- **თავმჯდომარის მრჩევლები**
  თამაზ შარმანაშვილი
  ვალერიან მაისურაძე
- **ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი**
  ლევან კახურაშვილი

**სსიპ-საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი**
ნათია ზაალიშვილი, სწავლების ცენტრის დირექტორი

---

4. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს შეეცვალა სახელწოდება „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ცესკოს 2022 წლის 21 იანვრის №1/2022 დადგენილების საფუძველზე.

5. კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტს შეეცვალა სახელწოდება „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ცესკოს 2022 წლის 16 დეკემბრის №44/2022 დადგენილების საფუძველზე.

# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის მიერ 2022 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში

| | | |
|---|---|---|
| 1 | **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **საარჩევნო კულტურა და განათლება**<br><br>ეფექტური და ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ამომრჩეველთა და სხვა ჩართული მხარეების ინფორმირება, რაც განამტკიცებს საარჩევნო კულტურას, გაზრდის ამომრჩევლებისთვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას |
| 1.1 | **მიზანი** | ამომრჩევლის და სხვა ჩართული მხარეების განათლება/ინფორმირება |
| 1.1.1 | **ამოცანა** | გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა ცოდნა საარჩევნო საკითხებზე ამაღლებულია საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეთა კუმულატიური რაოდენობა გაზრდილია მონაწილეთა უმეტესობის მიერ საგანმანათლებლო პროგრამა პოზიტიურად შეფასებულია |

| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.1.1 | საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის განხორციელება | განხორციელდა | 15 მარტი-4 აპრილის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საჯარო სკოლებში განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა – „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“. პროგრამის მიზანი იყო – ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა.<br><br>XI-XII კლასის მოსწავლეები გაეცნენ შემდეგ ახალ მოდულებს: ინკლუზიური საარჩევნო გარემო; დეზინფორმაციის და სიძულვილის ენის უარყოფითი შედეგების გავლენა საარჩევნო პროცესზე; არჩევნების სანდოობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიმართულებით საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დანერგილი ინოვაციური სერვისები. საჯარო სკოლებში მიმდინარე პრაქტიკული სწავლების ფორმატში ჩატარდა იმიტირებული არჩევნები, ასევე ახალგაზრდებში დებატის კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით – დებატი.<br><br>პროექტი ჩატარდა 64 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განლაგებულ 300 საჯარო სკოლაში. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყანაში მოქმედი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა ორი ფორმით განხორციელდა:<br>• 286 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართა საკლასო ოთახებში, პირისპირ ტრენინგები ჩაატარა 95-მა ტრენერმა;<br>• 14 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურად. ონლაინ კურსი ჩაატარეს სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა.<br><br>2022 წელს პროექტის სიახლე იყო – საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების შეხვედრები საჯარო სკოლების მოსწავლეებთან. ცესკოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და სწავლების ცენტრის დირექტორი შეხვდნენ თბილისის პირველი ექსპერიმენტული და 192-ე საჯარო სკოლების XI-XII კლასების მოსწავლეებს. ახალგაზრდებს მიაწოდეს ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის, მათ შორის დეზინფორმაციის მიმართულებით გატარებული პრევენციული ღონისძიებების თაობაზე, ასევე, განიხილეს განხორციელებული საპილოტე პროექტი თანამედროვე საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.<br><br>საქმიანობა, ვადაზე ადრე, პირველ კვარტალში შესრულდა | 100 % | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობა განხორციელებულია<br><br>სასწავლო მასალა განახლებულია<br><br>გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br><br>საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა არანაკლებ 200 საჯარო სკოლის 2000 მოსწავლისთვის ჩატარებულია<br><br>მოსწავლეებთან საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების საინფორმაციო შეხვედრები ჩატარებულია<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან<br><br>პროგრამას დაემატა 3 ახალი სასწავლო მოდული<br><br>გადამზადდა საარჩევნო ადმინისტრაციის 95 ტრენერი და სწავლების ცენტრის 3 თანამშრომელი<br><br>სასწავლო პროგრამა გაიარა 300 საჯარო სკოლის 5 886-მა მოსწავლემ, მათ შორის 3 487 (59%) ქალი და 2 399 (41%) კაცი. აღსანიშნავია, რომ სკოლებისა და მონაწილეთა რაოდენობა აღემატება დაგეგმილ რაოდენობას, კერძოდ კურსი ჩატარდა 50%-ით მეტ სკოლაში და გაიარა 194%-ით მეტმა მონაწილემ<br><br>მათ შორის, კურსი გაიარა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ 13 მუნიციპალიტეტის (ბოლნისი, დმანისი, წალკა, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახმეტა, საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე) 48 საჯარო სკოლის 853-მა მოსწავლემ, მათ 490 (57%) ქალი და 363 (43%) კაცი<br><br>ჩატარდა ცესკოსა და სწავლების ხელმძღვანელი პირების ორი შეხვედრა თბილისის ორი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.<br><br>მოსწავლეებმა სასწავლო კურსი პოზიტიურად შეაფასეს. შეფასების ანგარიში იხილეთ სწავლების ცენტრის ანგარიშში, დანართი (1), რომელიც განთავსებულია შიდა დისკზე „Angarishebi“ | სწავლების ცენტრი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.1.2 | უნივერსიტეტებში სემესტრული სასწავლო პროგრამის „საარჩევნო სამართალი" განხორციელება | განხორციელდა | 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლების ცენტრმა იურიდიული, სოციალური მეცნიერებების და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის განახორციელა საავტორო სასწავლო პროგრამა „საარჩევნო სამართალი". სემესტრული სწავლება ჩატარდა ცხრა უნივერსიტეტში: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; ალტე უნივერსიტეტი; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში საარჩევნო კულტურის განმტკიცებასა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი დარგობრივი სპეციალისტების მომზადებას საარჩევნო სამართლის განხრით. სტუდენტები გაეცნენ შიდა სახელმწიფოებრივ საკანონმდებლო რეგულაციებსა და საერთაშორისო პრაქტიკას.<br><br>სტუდენტებისთვის განკუთვნილი, დამხმარე სახელმძღვანელოში აისახა საკანონმდებლო სიახლეები. სასწავლო პროგრამას დაემატა ახალი მოდულები: ინკლუზიური საარჩევნო გარემო; დეზინფორმაციის და სიძულვილის ენის უარყოფითი შედეგების გავლენა საარჩევნო პროცესზე; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დანერგილი ახალი სერვისები, მათ შორის, საპილოტე რეჟიმში კენჭისყრის პროცესში გამოყენებული თანამედროვე საარჩევნო ტექნოლოგიების საკითხები.<br><br>სასწავლო პროგრამის მიმდინარეობისას, საინფორმაციო კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს" ფარგლებში, სწავლების ცენტრის ორგანიზებით, სტუდენტები დისტანციურ ფორმატში შეხვდნენ სსკ-ების ხელმძღვანელ პირებს, რომლებმაც ახალგაზრდებს გააცნეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, საპილოტე რეჟიმში, საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების საკითხი და ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისები. საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ალტე უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს №1 მთაწმინდის, №2 ვაკის, №6 სამგორის, №13 სიღნაღის, №32 გორის, №37 ახალციხის და №59 ქუთაისის სსკ-ების ხელმძღვანელმა პირებმა. | 100 % | სასწავლო მასალა განახლებულია<br><br>გადამზადებული ლექტორების რაოდენობა<br><br>უნივერსიტეტებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობა<br><br>სტუდენტებთან საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების საინფორმაციო შეხვედრები ჩატარებულია<br><br>სასწავლო პროგრამის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | განახლდა სტუდენტებისთვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელო<br><br>გადამზადდა 6 ლექტორი<br><br>პროექტი განხორციელდა 9 უნივერსიტეტში. სასწავლო კურსი გაიარა 399-მა სტუდენტმა, მათ შორის 252 იყო ქალი და 147 კაცი<br><br>ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები 7 უნივერსიტეტის 129 სტუდენტთან, მათ შორის 84 (65%) იყო ქალი და 45 (35%) კაცი<br><br>მონაწილეთა მიერ სასწავლო კურსი პოზიტიურად შეფასდა, ინფორმაცია იხილეთ შიდა დისკზე "Angar-ishebi" | სწავლების ცენტრი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |
| 1.1.1.3 | იურიდიული კლინიკის ფორმატში საარჩევნო სამართლის პრაქტიკული სასწავლო კურსის განხორციელება | განხორციელდა | სწავლების ცენტრმა, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობის ფარგლებში, განახორციელა იურიდიული კლინიკის პროგრამა საარჩევნო სამართლის დარგში. პლატფორმა განკუთვნილი იყო იურიდიული ფაკულტეტის/სამართლის სკოლის საბაკალავრო და მაგისტრატურის საფეხურების სტუდენტებისთვის, მიზნად ისახავდა ახალგაზრდების პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას საარჩევნო მიმართულებით. თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით პროგრამა მაქსიმალურად დატვირთული იყო პრაქტიკული სწავლების კომპონენტებით, რაც თეორიული მასალის შესწავლისა და მისი დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველი იყო. სტუდენტები, ჰიბრიდულ ფორმატში, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და დარგის ექსპერტებს შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: დეზინფორმაციისა და სიძულვილის ენის უარყოფითი გავლენა საარჩევნო პროცესებზე; საარჩევნო პროცესში დეზინფორმაციის პრევენციის მიზნით ცესკოს მიმდინარე აქტივობები; საარჩევნო ადმინისტრაციის გამოცდილება არჩევნებში ტექნოლოგიების გამოყენების საკითხზე. მეტი თვალსაჩინოებისთვის სტუდენტები უშუალოდ ჩაერთნენ ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატების გამოყენებით გამართულ ხმის მიცემის სიმულაციაში, მათ შორის მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლობით განხორციელებულ სასწავლო-საინფორმაციო პროექტებთან დაკავშირებით. საინფორმაციო მასალები ასევე აიტვირთა სტუდენტებისთვის განკუთვნილ პორტალზე სასწავლო მასალების განყოფილებაში. | 100 % | სასწავლო კურსის პროგრამა და მასალა შემუშავებულია<br><br>უნივერსიტეტებისა და სტუდენტების რაოდენობა<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | * შემუშავდა სასწავლო კურსის პროგრამა და მასალა<br>* სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო ორი უნივერსიტეტის 145- მა სტუდენტმა, (ალტე უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)<br>* სასწავლო კურსის მონაწილეების მიერ პოზიტიურად შეფასდა | სწავლების ცენტრი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი<br><br>ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.1.4 | საინფორმაციო-სასწავლო კამპანიის „ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ღია მმართველობის პროცესში" განხორციელება | განხორციელდა | ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო კამპანია „ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა ღია მმართველობის პროცესში". კამპანიის მიზანი იყო – „ღია მმართველობის" პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პოპულარიზაციის, ცნობადობის ზრდისა და ახალგაზრდების აქტიურ, ინფორმირებულ ამომრჩევლებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა. შეხვედრებზე განხილულ იქნა არჩევნების ინსტიტუციური ასპექტები და თანამედროვეობა, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული რეფორმები და ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისები, ასევე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2 აპრილის შუალედურ არჩევნებზე ელექტრონული ტექნოლოგიების საპილოტე რეჟიმში გამოყენების შესახებ. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:<br><br>• 3 თებერვალს, არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ცესკოს თავმჯდომარემ და სწავლების ცენტრის დირექტორმა, დისტანციურ ფორმატში, გამართეს საინფორმაციო შეხვედრა 12 პარტნიორი უნივერსიტეტის 200 სტუდენტთან.<br>• 28 თებერვალს, ცესკოსა და სწავლების ცენტრის პარტნიორ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების შეხვედრა 230 ახალგაზრდასთან.<br>• 29 აპრილს, სწავლების ცენტრის ორგანიზებით, ცესკოში ჩატარდა ცესკოს თავმჯდომარისა და სწავლების ცენტრის დირექტორის შეხვედრა საქართველოს სტუდენტური პარლამენტის 30 წარმომადგენელთან. სწავლების ცენტრის ტრენერებმა, ახალგაზრდების ჩართულობით და ტექნოლოგიების გამოყენებით ჩაატარეს იმიტირებული კენჭისყრა.<br>• 3 მაისს, ცესკოს ინიციატივით და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან თანამშრომლობით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა მინდობით აღზრდაში მყოფ და ბავშვთა სოფლების ბენეფიციარებთან. სწავლების ცენტრის ტრენერებმა, ახალგაზრდების ჩართულობით, ჩაატარეს იმიტირებული კენჭისყრა.<br>• 13-27 მაისს, ცესკოსა და სწავლების ცენტრის 6 პარტნიორ უნივერსიტეტებში სხვადასხვა ფაკულტეტის 209 სტუდენტისთვის ჩატარდა დისტანციური საინფორმაციო შეხვედრები თემაზე „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი", ხოლო 2 უნივერსიტეტში – პირისპირ ფორმატში.<br>• 5-16 ივნისს, სწავლების ცენტრმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და მასთან არსებული საარჩევნო სისტემებისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტთან პარტნიორობით, განახორციელა პროექტი „სტუდენტური დებატ-კლუბი". პროექტში მონაწილეობა მიიღო 36-მა სტუდენტმა. ტურნირზე ნახევარფინალში და ფინალში გამარჯვებული მონაწილეები გამოავლინა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ცესკოს თავმჯდომარე და სხვა ხელმძღვანელი პირები, ასევე თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი და აკადემიური სექტორიდან მოწვეული პირები. მეოთხედფინალში და ფინალში გადასულ მონაწილეებს გადაეცათ საარჩევნო ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროექტებში „საარჩევნო განვითარების სკოლა"/„ახალგაზრდული ბანაკები" მონაწილეობის საგზური. | 100% | საინფორმაციო-სასწავლო კამპანიის კონცეფცია შემუშავებულია<br><br>საინფორმაციო-სასწავლო მასალა შემუშავებულია<br><br>ჩატარებული ღონისძიებების და მონაწილეთა რაოდენობა<br><br>შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | შემუშავდა საინფორმაციო-სასწავლო კამპანიის კონცეფცია<br><br>შეხვედრებისთვის მომზადდა პრეზენტაციები<br><br>ჩატარდა 6 ღონისძიება, მონაწილეობა მიიღო 725-მა ახალგაზრდამ<br><br>შეფასება განხორციელდა სხვადასხვა გზით, შეფასების შედეგები იხილეთ სწავლების ცენტრის ანგარიშში, შიდა დისკზე "Angarishebi" | სწავლების ცენტრი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |
| 1.1.1.5 | სასწავლო პროგრამის „საარჩევნო განვითარების სკოლა" განხორციელება | განხორციელდა | ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროექტის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა სასწავლო კურსის ჩატარების თარიღი, 4-8 ივლისი და არეალი – თბილისი, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ზუგდიდი და ბათუმი. განახლდა სასწავლო პროგრამა და წელს პირველად, სხვადასხვა მოდულთან ერთად, პროგრამის მონაწილეებისთვის დაიგეგმა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსის ჩატარება. ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი და გადამზადდა 36 ტრენერი.<br><br>სასწავლო კურსი ცესკოს სწავლების ცენტრთან ერთად და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ხორციელდება. | 100 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია და პროექტი განახლებულია<br><br>გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br><br>სასწავლო პროგრამა არანაკლებ 25 მუნიციპალიტეტში, 18-25 წლის 500 ახალგაზრდისთვის ჩატარებულია<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 9 თებერვლის N01-37 ბრძანების საფუძველზე<br><br>პროექტის სასწავლო მასალები განახლებულია<br><br>36 ტრენერი გადამზადებულია<br><br>პროექტი ჩატარდა 8 მუნიციპალიტეტში და სერტიფიკატი აიღო 62-მა მონაწილემ | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |
| 1.1.1.6 | პროექტის „ახალგაზრდული ბანაკები" განხორციელება | განხორციელდა | ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა პროექტის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა სასწავლო კურსის ჩატარების პერიოდი, 15-ივლისი-9 აგვისო, ლოკაცია – დაბა ბაკურიანი. ოთხ-ეტაპიანი ტრენინგები მოიცავდა სამი პარალელური ჯგუფის ტრენინგებს, თითოეული ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 20 მონაწილეს. პროექტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 371-მა ახალგაზრდამ. მონაწილეების შერჩევისას გათვალისწინებული იყო გენდერული თანასწორობის პრინციპი. განახლდა სასწავლო პროგრამა, სხვადასხვა მოდულთან ერთად, პროგრამის მონაწილეებისთვის დაიგეგმა ელექტრონული საშუალებების პრაქტიკაში გამოყენების სიმულაცია. ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი და გადამზადდა ექვსი ტრენერი. | 100 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია და კონცეფცია განახლებულია<br><br>პროექტი არანაკლებ 140 ახალგაზრდისთვის ჩატარებულია<br><br>სასწავლო კურსის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | შეიმნა სამუშაო ჯგუფი ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 9 თებერვლის N01-37 ბრძანების საფუძველზე<br><br>განახლდა კონცეფცია<br><br>პროექტი წარმატებით დაასრულა და სერტიფიკატი აიღო 224-მა მონაწილემ<br><br>შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.1.7 | პოლიტიკური პარტიებისთვის საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების პროგრამის განხორციელება | განხორციელდა | 2022 წლის 28-29 სექტემბერს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისთან თანამშრომლობით ჩაატარა ტრენინგი – „საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობის წახალისება“. პროექტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყო 15 პოლიტიკური პარტია, რომლებსაც 2020 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით მოპოვებული ჰქონდათ მანდატი პარლამენტში ან/და იღებდნენ სახელმწიფო დაფინანსებას. პროგრამაში მონაწილეობა ცხრა პარტიამ დაადასტურა, რომლებმაც სამ-სამი კანდიდატურა წარმოადგინეს.<br><br>საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა სწავლების ცენტრის ტრენერებმა და ევროპის საბჭოს მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა ჩაატარეს და განიხილეს შემდეგი თემები: საარჩევნო სისტემებისა და გენდერული კვოტების გავლენა ქალთა წარმომადგენლობაზე; პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობისას არსებული ბარიერები – გენდერული სტერეოტიპები, დისკრიმინაცია და სიძულვილის ენა ციფრულ სამყაროში; დებატების კულტურა; ლიდერობა და კომუნიკაციის სტრატეგიები. სესიების ფარგლებში მონაწილეები პარალელურად ეცნობოდნენ ევროპის საბჭოს სტანდარტებს და სხვა საერთაშორისო პრაქტიკას გენდერული თანასწორობის საკითხებში, გადაწყვეტილების მიღებისას მამაკაცებისა და ქალების დაბალანსებული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიმართულებით. საარჩევნო რეფორმის ნაწილში დაგეგმილი ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია კენჭისყრის პროცესში ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს გამოცდილების შესახებ. მონაწილეები ჩაერთნენ საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემის სიმულაციაში. | 100 % | საინფორმაციო-სასწავლო კურსი “ქალების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის წახალისება” განხორციელებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>პროგრამის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | ჩატარდა საინფორმაციო სასწავლო კურსი<br><br>კურსში მონაწილეობა მიიღო 27-მა ქალმა ცხრა პოლიტიკური პარტიიდან (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ლელო საქართველოსთვის, ევროპული საქართველო, გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი, პატრიოტთა ალიანსი, საქართველოსთვის, ევროპელი სოციალისტები და საქართველოს ევროპელი დემოკრატები)<br><br>მონაწილეთა მიერ სასწავლო კურსი პოზიტიურად შეფასდა | სწავლების ცენტრი |
| 1.1.1.8 | ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების პროგრამის განხორციელება | განხორციელდა | 2022 წლის 12-12 დეკემბერს, საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოს პროექტის „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის ჩაატარეს საინფორმაციო-სასწავლო კურსი – „საარჩევნო პროცესზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტები და ანგარიშგება“. სწავლების ცენტრის ტრენერებმა და ევროპის საბჭოს ოფისის ექსპერტმა მონაწილეებთან განიხილეს შემდეგი საკითხები: არჩევნებზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტები; დაკვირვების პრიორიტეტები საარჩევნო ციკლის ჭრილში; დაკვირვების მეთოდოლოგია, სახელმძღვანელო პრინციპები და ეთიკა; ანგარიშგების ინსტრუმენტები და სადამკვირვებლო ანგარიშების შედგენის საერთაშორისო პრაქტიკა. მონაწილეები გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების გამოცდილებას. მონაწილეებმა მიმოიხილეს საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების მონიტორინგის საერთაშორისო სტანდარტები და მეთოდოლოგია. ჩატარდა საარჩევნო ტექნოლოგიების (ამომრჩეველთა ვერიფიკაციის და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატები) გამოყენებით ხმის მიცემის სიმულაცია. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის დამკვირვებლებად იყვნენ რეგისტრირებული ცესკოში და ხელი მოაწერეს საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ეთიკის კოდექსს.<br><br>* შენიშვნა: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი; საერთო – სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო; ადამიანის უფლებათა ცენტრი; დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი; სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი; ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის; საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი; ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები; კავშირი მწვანე დედამიწა; ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის; ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია; უფლებადამცველები სამართლიანობისათვის; აკადემია „ა“, ამერიკის მხარდამჭერთა ლიგა. | 100 % | ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკა შესწავლილია და საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებისთვის საჭიროებები იდენტიფიცირებულია<br><br>საინფორმაციო-სასწავლო კურსი “საარჩევნო პროცესზე დაკვირვების საერთაშორისო სტანდარტები” განხორციელებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>პროგრამის შეფასების შედეგები ანგარიშში ასახულია | სწავლების ცენტრმა შეიმუშავა დოკუმენტი “ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობის პრაქტიკის შესწავლა და სიტუაციური ანალიზი”<br><br>განხორციელდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი<br><br>ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 16 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 16-მა წარმომადგენელმა<br><br>მონაწილეების მიერ პროგრამა დადებითად შეფასდა | სწავლების ცენტრი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.1.9 | ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შესახებ სასწავლო მოდულის შექმნა | განხორციელდა | ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შესახებ სასწავლო მოდულის შექმნის მიზნით სწავლების ცენტრისა და სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის თანამშრომლობით შემუშავდა საინფორმაციო ჩარჩო-დოკუმენტი ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შესახებ. სასწავლო მოდულის განხილვაში მონაწილეობა მიიღო ცესკოს გენდერულმა საბჭომ. დოკუმენტში იყო ასახული ინფორმაცია ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მნიშვნელობისა და ამ მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ.<br><br>სასწავლო მოდული – „ინკლუზიური საარჩევნო გარემო“ ინტეგრირებულია საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარებულ საინფორმაციო-სასწავლო პროგრამაში – „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, სასწავლო პროექტებში – „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „ახალგაზრდული ბანაკები“, ასევე უნივერსიტეტებში სემესტრულ სასწავლო პროგრამაში – „საარჩევნო სამართალი“. | 100 % | სასწავლო მოდული შექმნილია<br><br>სასწავლო პროგრამების რაოდენობა, სადაც აისახა შექმნილი მოდული | შეიქმნა სასწავლო მოდული<br><br>შექმნილი მოდული აისახა ოთხ სასწავლო პროგრამაში | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>ცესკოს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი<br><br>ცესკოს ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი<br><br>ცესკოს გენდერული საბჭო |
| 1.1.2 | **ამოცანა** | ინოვაციური ინფორმირების კამპანიის განსაზღვრა და განხორციელება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ინფორმირების კამპანიის პროცესში სიახლეები განსაზღვრული და განხორციელებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 1.1.2.1 | ინფორმირების კამპანიის “ვესაუბრებით ამომრჩევლებს” განხორციელება | განხორციელდა | ინფორმირების კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა. საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა, მოხალისეებთან ერთად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართეს შეხვედრები და მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია არჩევნებისა და საარჩევნო უფლების, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და საარჩევნო/საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. შეხვედრებზე ასევე განხორციელდა მოქალაქეების გამოკითხვა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, იუსტიციის სახლთან თანამშრომლობით, საინფორმაციო ფლაერები გავრცელდა იუსტიციის სახლის ყველა, 27-ვე ფილიალში.<br><br>5-25 მაისს, საქართველოს შვიდი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტები შეხვდნენ საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს და მათგან მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო რეფორმის სიახლეების, ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისებისა და ის ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციამ პილოტის სახით განახორციელა. საინფორმაციო შეხვედრები ონლაინ ფორმატში გაიმართა და მასში მონაწილეობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ალტე უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს.<br><br>საარჩევნო პერიოდში, ადმინისტრაციასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერების, 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნების შესახებ საქართველოს მოქალაქეების ინფორმირების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა და მოხალისეებმა, პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეგულაციის სრული დაცვით, რუსთავის, გარდაბნისა და ბათუმის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართეს ცხრა საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის აზერბაიჯანულენოვან ამომრჩევლებთან. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მოხალისეებთან ერთად, ამომრჩევლებს აწვდიდნენ ინფორმაციას საარჩევნო უფლებისა და შუალედური არჩევნების შესახებ, ასევე სთავაზობდნენ მათ ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმებას. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაავრცელეს საინფორმაციო ფლაერები ხმის მიცემის პროცედურების შესახებ და ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა იმ ახალგაზრდა ამომრჩევლებისადმი, რომლებიც პირველად იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში. ინფორმირების კამპანიის ფარგლებში გავრცელდა სამი სახის საინფორმაციო ფლაერი აზერბაიჯანულ ენაზე, რომლებიც მოიცავდა ინფორმაციას ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების, ხმის მიცემის პროცედურების შესახებ და ასევე, ცესკოს თავმჯდომარის მიმართვა იმ ახალგაზრდა ამომრჩევლებისადმი, რომლებიც, პირველად იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში.<br><br>სენაკის საკრებულოს შუალედური არჩევნების პერიოდში ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, შეხვედრები სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა №64.04 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებთან გამართეს, მიაწოდეს ინფორმაცია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის ჩატარების საპილოტე პროექტის შესახებ, ასევე გამართეს იმიტირებული კენჭისყრა. | 100 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია და პროექტი განახლებულია<br><br>ამომრჩევლებთან 60 შეხვედრა ჩატარებულია, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში 12, მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br><br>ინფორმირების კამპანიის ანგარიში მომზადებული და წარდგენილია | სამუშაო ჯგუფი შეიქმნა ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 9 თებერვლის №01-28<br><br>გაიმართა 142 საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - 11, ხოლო მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან (სოფელ ომალოსა და დუისში ახმეტის საოლქო საარჩევნო კომისიამ გამართა 2 შეხვედრა).<br><br>ინფორმირების კამპანიის ანგარიში მომზადებული და წარდგენილია | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |

| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1.2** | **მიზანი** | **ეთიკური ნორმების განმტკიცება და სამოქალაქო დიალოგის ხელშეწყობა** | | | | | |
| 1.2.1 | **ამოცანა** | პატივისცემასა და პროფესიონალიზმზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართულ მხარეებთან | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | არჩევნებში ჩართულ მხარეებისთვის თანამშრომლობის მექანიზმები შემუშავებული და შეთავაზებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 1.2.1.1 | ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის ფორმატის შექმნა | განხორციელდა | 2022 წელს შეიქმნა ახალი ფორმატები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოში არსებული საელჩოების წარმომადგენლებთან და საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ექსპერტებთან თანამშრომლობისთვის. აღნიშნულ ფორმატებში გამართულ შეხვედრებზე მონაწილეებმა განიხილეს მნიშვნელოვანი საკითხები საარჩევნო პროცესების შესახებ. | 100 % | შეხვედრების თემატიკა განსაზღვრულია<br><br>შეხვედრები ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | განისაზღვრა შეხვედრების თემატიკა<br><br>ჩატარდა 4 შეხვედრა<br><br>შეხვედრებს დაესწრო 50-მდე მონაწილე | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი |
| 1.2.3 | **ამოცანა** | ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | არჩევნებში ძალადობისა და სიძულვილის ენასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილება, აღიარებული სტანდარტები გაზიარებულია და საჭიროებები განხილულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 1.2.3.1 | ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ საინფორმაციო კამპანიის განხორციელება | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა მოამზადა ძალადობისა და სიძულვილის ენისგან თავისუფალი არჩევნების შესახებ საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია. 2022 წელს საქმიანობა არ განხორციელდა და იგეგმება 2023 წელს. | 20% | კონცეფცია მომზადებულია<br><br>გავრცელებული საინფორმაციო მასალის რაოდენობა<br><br>გამოყენებული საინფორმაციო არხების რაოდენობა | კონცეფცია მომზადებულია | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება**<br><br>უსაფრთხო, სანდო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად არჩევნებში ჩართულ მხარეებთან ერთად ქმედითი მექანიზმების შემუშავება და განხორციელება | | | | | |
| 2.1 | **მიზანი** | საარჩევნო ადმინისტრაციისა და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის ამაღლების ხელშეწყობა | | | | | |
| 2.1.1 | **ამოცანა** | დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მექანიზმი შექმნილია<br>დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 2.1.1.1 | დეზინფორმაციასა და ყალბ სიახლეებზე რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესება | განხორციელდა | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა განახორციელა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს გავრცელებული დეზინფორმაციისა და ყალბი სიახლეების ანალიზი.<br><br>შედეგების გაანალიზების შედეგად, სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება, რომლის უშუალო ფუნქცია-მოვალეობებში შედის მედიამონიტორინგი და დეზინფორმაციისა და ყალბი სიახლეების გამოვლენა; მოპოვებული ინფორმაციის სისტემატიზაცია და ანალიზი; პერიოდულად მონიტორინგის ანგარიშების გამოქვეყნება. საანგარიშო პერიოდში განყოფილებამ შეიმუშავა კონცეფცია; დაამუშავა 437 ინფორმაცია; რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ინსტიტუციის მიმართ დისკრედიტაციული ინფორმაციის გავრცელების 46 შემთხვევა. | 100 % | მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს გავრცელებული დეზინფორმაციისა და ყალბი სიახლეების შესახებ ანალიზი განხორციელებულია<br><br>კონცეფცია განახლებულია | განხორციელდა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს გავრცელებული დეზინფორმაციისა და ყალბი სიახლეების შესახებ ანალიზი | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |
| 2.1.2 | **ამოცანა** | მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად მექანიზმების შემუშავება და განხორციელება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | მიკერძოებული დაკვირვების ზეგავლენის შესამცირებლად შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 2.1.2.1 | საარჩევნო ადმინისტრაციაში შემოსული განცხადება/საჩივრების სამართლებრივი ანალიზის ჩატარება | განხორციელდა | იურიდიულმა დეპარტამენტმა დაამუშავა ინფორმაცია 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის, წარმოდგენილი 31 საჩივრის შესახებ და დეტალური სტატისტიკა აისახა საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნების ანგარიშში.<br><br>3 აპრილს, ცესკოში გამართულ ბრიფინგზე, ჩართულ მხარეებსა და დაინტერესებულ პირებს წარედგინა ინფორმაცია საჩივრების ანალიზის შესახებ, რომელიც ასევე გამოქვეყნებულია ცესკოს ვებგვერდზე. | 100 % | განცხადება/საჩივრები დამუშავებულია და ანალიზი განხორციელებულია<br><br>ჩართული მხარეებისთვის ანალიზის შედეგები გაზიარებულია | ჩატარდა საჩივრების ანალიზი<br><br>ინფორმაცია საჩივრების შესახებ ჩართული მხარეებისთვის ხელმისაწვდომია | იურიდიული დეპარტამენტი |
| 2.1.3 | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის განმტკიცება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის ფორმატები მონაწილეთა მიერ მხარდაჭერილი და შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 2.1.3.1 | შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | 2022 წლის 20 ივლისსა და 15 სექტემბერს სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსმა საორიენტაციო შეხვედრა გამართა სსკ-ების წამომადგენლებთან, რომელზეც წარადგინა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გასამართი შეხვედრებისთვის მომზადებული საპრეზენტაციო მასალები.<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შშმ პირების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან განსაზღვრული ოთხი სსკ-დან შეხვედრა გამართა სამმა, ახალციხის, ზუგდიდისა და ქუთაისის სსკ-ებმა. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არსებული 12 სსკ-დან კი შეხვედრა გამართა შემდეგმა სამმა: ახალქალაქის, ბოლნისისა და ნინოწმინდის სსკ-ებმა. სსკ-ების წევრებმა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაუზიარეს ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. ზოგიერთი სსკ-ის სამოქმედო ტერიტორიაზე შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების არარსებობის გამო სსკ-ების ნაწილმა ვერ შეძლო შეხვედრების ორგანიზება.<br><br>2022 წლის 4 თებერვალსა და 7 ოქტომბერს დეპარტამენტის ორგანიზებით ცესკოში გაიმართა ორი შეხვედრა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფთან, რომლებზეც განხილულ იქნა არჩევნებში მონაწილე შშმ პირთა სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო პრაქტიკა და მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციისა და საინფორმაციო მასალების მისაწვდომობის საკითხი.<br><br>არასაარჩევნო პერიოდში, განსახილველ საკითხთა სიმცირის გამო, ცესკოში ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრების ორგანიზების საჭიროება არ დამდგარა. | 70 % | შეხვედრების თემები განსაზღვრულია<br><br>შშმ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის არანაკლებ ორი შეხვედრა ცესკოში და თითო შეხვედრა 4 სსკ-ს მიერ ჩატარებულია<br><br>ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის არანაკლებ ორი შეხვედრა ცესკოში და თითო შეხვედრა 12 სსკ-ს მიერ ჩატარებულია<br><br>ორგანიზაციებისა და მონაწილეთა რაოდენობა | განისაზღვრა შეხვედრების თემები<br><br>შშმ საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის ორი შეხვედრა ცესკოში და თითო შეხვედრა 3 სსკ-ს მიერ ჩატარდა<br><br>ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა ცესკოში არ გამართულა, თითო შეხვედრა 3 სსკ-ს მიერ ჩატარდა<br><br>შშმ პირების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 9 ორგანიზაციის 25-მა წარმომადგენელმა<br><br>ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 9 ორგანიზაციის 15-მა წარმომადგენელმა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.1.4 | **ამოცანა** | გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების უზრუნველყოფა | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო ინფორმაცია გასაჯაროებულია, საჯარო ინფორმაცია გაცემულია და ანგარიშგება უზრუნველყოფილია<br>სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობა პოზიტიურად შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 2.1.4.1 | სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების სტანდარტის შექმნა | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | ცესკოს მდივნის აპარატმა მოამზადა და ცესკოს ხელმძღვანელ პირებს წარუდგინა სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების, გამოქვეყნებისა და გაცემის წესი, განსაზღვრა ცესკოს მიერ პროაქტიულად გასაცემი სტატისტიკური ინფორმაცია.<br><br>ცესკოს ხელმძღვანელ პირებთან და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებთან განხილვისას მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული წესის სტანდარტის დამტკიცების შესახებ ცესკოს 2013 წლის 16 ივლისის №27 დადგენილებაში „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ინტეგრირება. | 90 % | ცესკოს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და საჯარო ინფორმაციის გაცემის წესით გასაცემი სტატისტიკური ინფორმაცია იდენტიფიცირებულია<br><br>სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების წესი შემუშავებულია<br><br>ზემოხსენებული სტანდარტი საქმისწარმოების წესში ინტეგრირებულია | განისაზღვრა გასაცემი სტატისტიკური ინფორმაცია<br><br>სტატისტიკური ინფორმაციის „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ცესკოს 2013 წლის 16 ივლისის №27 დადგენილებაში ინტეგრირების მიზნით, შემუშავდა დადგენილების ცვლილების პროექტი | ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი) |
| 2.1.5 | **ამოცანა** | საერთაშორისო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის გაძლიერება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატებისა და ინფორმირების მექანიზმების რაოდენობა<br>საერთაშორისო პარტნიორების მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ დადებითი შეფასებების რაოდენობა | | | | | |
| 2.1.5.1 | საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება | განხორციელდა | 2022 წლის 25-26 ოქტომბერს გაიმართა საარჩევნო ადმინისტრაციების მე-10 საერთაშორისო კონფერენცია და მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საარჩევნო ტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე კომპანიების წარმომადგენლებმა. კონფერენციის მთავარი თემები იყო –„ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო პროცესებში" და "დეზინფორმაცია და მისი გავლენა საარჩევნო პროცესებზე". | 100% | კონფერენციაზე განსახილველი თემატიკა განსაზღვრულია<br><br>მონაწილე ორგანიზაციების და წარმომადგენლების რაოდენობა<br><br>კონფერენცია ორგანიზებული და ჩატარებულია | განისაზღვრა კონფერენციაზე განსახილველი თემატიკა<br><br>კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 27 ორგანიზაციის 71-მა წარმომადგენელმა. (10 საარჩევნო ადმინისტრაცია, 13 საერთაშორისო ორგანიზაცია, საარჩევნო ტექნოლოგიებზე მომუშავე 4 კომპანია)<br><br>კონფერენცია ორგანიზებული და ჩატარებულია | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი<br><br>საფინანსო დეპარტამენტი |
| 2.3 | **მიზანი** | საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება კიბერ საფრთხეების აცილების მიზნით | | | | | |
| 2.3.1 | **ამოცანა** | ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გაუმჯობესება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემუშავებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 2.3.1.1 | ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით, არსებული პროცედურების მონიტორინგის ანალიზის განხორციელება | განხორციელდა | განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემით განსაზღვრული ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით არსებული პროცედურების ანალიზი. განახლდა რისკების მართვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული საქმიანობების შესრულების შედეგად გაუმჯობესდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა. | 100 % | ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით რისკები გამოვლენილია და პრევენციული ღონისძიებები განსაზღვრულია | გამოვლინდა რისკები, განისაზღვრა პრევენციული ღონისძიებები. გაუმჯობესდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა | ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი |
| 2.3.2 | **ამოცანა** | კიბერ უსაფრთხოების გაუმჯობესება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | კიბერ შეტევებისგან დამცავი სისტემების შეფასება ჩატარებულია და დამცავი მექანიზმები დადებითად შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 2.3.2.1 | კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესება | განხორციელდა | საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა ჩაატარა კრიტიკული სისტემების აუდიტი, გამოავლინა საჭიროებები და ამჟამად მიმდინარეობს აუდიტის შედეგად გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრა და კიბერუსაფრთხოების პარამეტრების განახლება/გაძლიერება. მიმდინარეობს მომავალი წლისთვის ჩასატარებელი სამუშაოების დაგეგმვაზე მუშაობა. | 100 % | კრიტიკული სისტემების აუდიტი განხორციელებულია<br><br>აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია<br><br>აუდიტთან დაკავშირებული მონაცემებისთვის კონფიდენციალურობა დაცულია<br><br>კიბერ საფრთხეების შემცირებასთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის კონფიდენციალურობა დაცულია | განხორციელდა კრიტიკული სისტემების აუდიტი<br><br>აღმოიფხვრა გამოვლენილი ხარვეზები<br><br>აუდიტთან დაკავშირებული მონაცემები კონფიდენციალურია<br><br>ინფორმაცია კიბერსაფრთხეების შესახებ კონფიდენციალურია | საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები**<br>საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ინოვაციური, ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია | | | | | |
| 3.1 | **მიზანი** | საარჩევნო სერვისების მოდერნიზაცია და გაუმჯობესება | | | | | |
| 3.1.2 | **ამოცანა** | საარჩევნო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა იძლევა საარჩევნო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას და პასუხობს ახალ გამოწვევებსა და მოთხოვნებს | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.1.2.1 | ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა | შეჩერებულია | ცესკოს მდივნის აპარატმა შეისწავლა ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის სისტემის ტექნიკური მოთხოვნები და შეიმუშავა ცესკოს სხდომებზე ცესკოს წევრთა ელექტრონული ავტორიზაციისა და ხმის მიცემის პროგრამის სამართლებრივი და პროგრამული კონცეფცია.<br><br>გაიმართა სამუშაო შეხვედრა საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან, სადაც განიხილეს კონცეფციის შესაბამისად გაწერილი ელექტრონული პროგრამის ტექნიკური და სამართლებრივი დავალების შესრულების, დახვეწისა და არსებული რისკების გამოვლენის პროცესები. ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა პროგრამის შეჩერება და მომავალი საანგარიშო პერიოდისთვის გადადება. | 50 % | ცესკოს წევრთა მიერ ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი ტექნიკურად და პროგრამულად უზრუნველყოფილია | შემუშავდა ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის სისტემის სამართლებრივი და პროგრამული კონცეფცია | ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამეტი)<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 3.1.2.2 | ახალი ტექნოლოგიების დანერგვის (პილოტირების) შესაძლებლობების განხილვა | განხორციელდა | მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისთვის განხორციელდა ვერიფიკაციის აპარატების სინქრონიზაცია და ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესში  გამოყენება. მიმდინარეობს ხმის მთვლელი აპარატების სინქრონიზაციის შესაძლებლობის შესწავლა. | 100 % | პოლიტიკურ გაერთიანებებთან სამუშაო შეხვედრა გამართულია<br><br>საკანონმდებლო ორგანოს მიერ ცვლილებები ტექნოლოგიების პილოტირების შესახებ მიღებულია<br><br>პილოტის განხორციელების ფინანსური მხარდაჭერისთვის დონორებთან მოლაპარაკებები განხორციელებულია | ჩატარდა შეხვედრა პოლიტიკურ გაერთიანებებთან<br><br>საქართველოს პარლამენტში წარდგენილი წინადადება ტექნოლოგიების პილოტირების შესახებ მიღებულია 2021 წლის 30 დეკემბერს (მუხლი 2036)<br><br>ფინანსური მხარდაჭერა  უზრუნველყოფილია | საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| 3.1.2.3 | 2021 წლის მუნიციპალიტეტის არჩევნების დროს არსებული ადაპტირებული/ მისაწვდომი საარჩევნო უბნების შეფასების განხორციელება | შეჩერებულია | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა შეიმუშავა 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს არსებული ადაპტირებული/ მისაწვდომი საარჩევნო უბნების შეფასების პროექტი. მომზადდა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტს გადაეგზავნა სსკ-ებისთვის გასაგზავნი შეფასების ფორმა. შეფასების ფორმა შევსებულია მხოლოდ სამი, რუსთავის, ბათუმისა და გარდაბნის სსკ-ის მიერ.<br><br>საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა შეფასების პროექტისა და სსკ-ებისთვის გასაგზავნი შეფასების ფორმის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებისთვის გაცნობა. ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შეფასების განხორციელება შეჩერებულია. | 20 % | შშმ პირთა სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით პროექტი ადაპტირებული საარჩევნო უბნების შეფასების შესახებ მომზადებულია<br><br>სსკ-ების მიერ შეფასება განხორციელებულია, შედეგები ანგარიშში ასახულია<br><br>კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისთვის ინფორმაცია გაგზავნილია | მომზადდა პროექტი ადაპტირებული საარჩევნო უბნების შეფასების შესახებ | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>ცესკოს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი |
| 3.1.3 | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის გამარტივება ამომრჩევლებისა და სხვა ჩართული მხარეებისთვის | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეები გამოხატავენ კმაყოფილებას შეთავაზებული გამარტივებული სერვისების მიმართ<br>ჩართული მხარეებისთვის შეთავაზებული სერვისების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.1.3.1 | არასაარჩევნო პერიოდში მედიის ელექტრონულად აკრედიტაციის შესაძლებლობის შექმნა | განხორციელდა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტმა ჩაატარა ონლაინ რეგისტრაციების პროგრამის მუშაობის ანალიზი, გამოავლინა რეგისტრაციის პროცედურებთან/პროცესებთან დაკავშირებული, პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები. შექმნა პროგრამული კონცეფცია, რომელიც წარედგინა საარჩევნო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.  არასაარჩევნო პერიოდში მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის მომზადდა ელექტრონული აკრედიტაციის მოდული. | 100 % | არასაარჩევნო პერიოდში მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ელექტრონული აკრედიტაციის მოდული შექმნილია<br><br>ელექტრონული რეგისტრაციების ახალი შესაძლებლობა მომხმარებლების მიერ შეფასებულია და შედეგები ანგარიშში ასახულია | შეიქმნა არასაარჩევნო პერიოდში მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ელექტრონული აკრედიტაციის მოდული<br><br>ვინაიდან მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებს ჯერ პროგრამით არ უსარგებლია, შესაბამისად შეფასებაც არ გაუკეთებიათ | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |

| N | საქმიანობა | საქმიანობის სტატუსი* | საქმიანობის აღწერა* | პროგრესი (%)* | საქმიანობის შესრულების ინდიკატორი | საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში | ანგარიშვებაზე პასუხისმგებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.1.3.2 | საარჩევნო სუბიექტების ონლაინ რეგისტრაციის შესაძლებლობის შექმნა | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტმა ჩაატარა ონლაინ რეგისტრაციების პროგრამის მუშაობის ანალიზი, გამოვლინდა საჭიროებები და განხორციელდა რეგისტრაციის პროცედურებთან/პროცესებთან დაკავშირებული, პროგრამაში დასამატებელი შესაბამისი ცვლილებები. შეიქმნა პროგრამული კონცეფცია.<br><br>დეპარტამენტმა ასევე მოამზადა და საარჩევნო ტექნოლოგიების დეპარტამენტს წარუდგინა პარტიული სიების/კანდიდატების ონლაინ რეგისტრაციის პროგრამაში დასამატებელი მოდულის ტექნიკური დავალება. | 50 % | საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია<br><br>პარტიული სიების/კანდიდატების ონლაინ რეგისტრაციის შესახებ ტექნიკური დავალება მომზადებულია<br><br>პროგრამა შექმნილი და პილოტირებულია | მომზადდა ტექნიკური დავალება პარტიული სიების/კანდიდატების ონლაინ რეგისტრაციის შესახებ | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 3.2 | **მიზანი** | ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირების ინსტრუმენტების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით | | | | | |
| 3.2.1 | **ამოცანა** | ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | მომხმარებელთა მიერ ელექტრონული სერვისები გამოყენებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშვებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.2.1.1 | ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის სერვისის შესაძლებლობის შესწავლა | შეჩერებულია | შემუშავდა დოკუმენტი, სადაც აღწერილია საკითხები, რომელთა შესახებაც ტექსტური შეტყობინების მეშვეობით უნდა მოხდეს ამომრჩევლის ინფორმირება. 2022 წელს აპლიკაცია ვერ შეიქმნა და გადაიდო მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის. | 40 % | კონცეფცია შემუშავებულია<br><br>პილოტირება განხორციელებულია | შემუშავებულია კონცეფცია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 3.2.1.2 | საჩივრების რეესტრის განახლება | განხორციელდა | იურიდიულმა დეპარტამენტმა ჩაატარა კვლევა და გამოავლინა ონლაინ საჩივრების რეესტრის განახლების საჭიროებები. ასევე, საჩივრების რეესტრის განახლების მიზნით, IFES-ის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც წარმოდგენილ იქნა ონლაინ რეესტრის განვითარების ხედვები.<br><br>გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით მომზადდა ტექნიკური დავალება და საჩივრების ონლაინ რეესტრი განახლდა. | 100 % | საჩივრების რეესტრის განახლების საჭიროების ანალიზი ჩატარებულია<br><br>ტექნიკური დავალება მომზადებულია<br><br>საჩივრების რეესტრი განახლებულია | ჩატარდა საჩივრების რეესტრის განახლების საჭიროების ანალიზი<br><br>მომზადდა ტექნიკური დავალება<br><br>განახლდა საჩივრების რეესტრი | იურიდიული დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 3.2.2 | **ამოცანა** | საინფორმაციო რესურსებისა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტიანად გამოყენება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | მომხმარებელთა კმაყოფილება გაზრდილია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშვებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.2.2.1 | ამომრჩევლებისთვის მობილური აპლიკაციის შექმნა | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | ამომრჩევლებისთვის მობილური აპლიკაციის შექმნაზე პასუხისმგებელმა დეპარტამენტებმა განიხილეს არსებული სერვისის შესაძლებლობები, შემუშავდა კონცეფცია, რომელშიც ასახულია არსებული სერვისის გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი საჭირო საქმიანობები. განისაზღვრა იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელთა შესახებ უნდა იყოს ინფორმირებული ამომრჩეველი მობილური აპლიკაციის მეშვეობით. თუმცა 2022 წელს აპლიკაცია ვერ შეიქმნა და მისი შემუშავება გადაიდო მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის. | 50 % | კონცეფცია მომზადებულია<br><br>ტექნიკური დავალება შექმნილია | შემუშავებულია კონცეფცია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.3 | **მიზანი** | საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა და ერთგვაროვანი აღსრულების ხელშეწყობა | | | | | |
| 3.3.2 | **ამოცანა** | საარჩევნო პროცედურების გამარტივება და ტექნიკურ/პროცედურული საკანონმდებლო საკითხების დახვეწა | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარდგენილი წინადადებები კანონმდებლობაში ასახულია | | | | | |
| N | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.3.2.1 | ჩატარებული არჩევნების სამართლებრივი ანალიზის განხორციელება | განხორციელდა | იურიდიულმა დეპარტამენტმა შეისწავლა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების დროს სსკ-ების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, აღიწერა გამოვლენილი ხარვეზები და მომზადდა ანალიზის დოკუმენტი. მომზადდა ცესკოს თავმჯდომარის წერილების პროექტები და შესაბამის სსკ-ებს გაეგზავნებათ სამომავლო რეკომენდაციები.<br><br>საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 4 აგვისტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო საქართველოს საარჩევნო კოდექსის გადასინჯვა ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნების შესაბამისად. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთ წევრს წარმოადგენდა ცესკო. ჯგუფის ფარგლებში ცესკომ წარადგინა შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები. | 100 % | ცესკოსა და სსკ-ების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზი ჩატარებულია და რეკომენდაციები მომზადებულია<br><br>საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი მომზადებულია და პარლამენტისთვის წარდგენილია | ჩატარდა ცესკოსა და სსკ-ების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზი და რეკომენდაციები მიეწოდა სსკ-ებს<br><br>მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო წინადადებები და რეკომენდაციები | იურიდიული დეპარტამენტი |
| 3.3.2.2 | ჩატარებული არჩევნების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება | განხორციელდა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა განახორციელა მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს (TI), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA), მრავალეროვანი საქართველოსა (PPMG) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) შუალედური და საბოლოო ანგარიშების ანალიზი. შესაბამისი რეკომენდაციები მომზადდა და წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს.<br><br>ანალიზის შედეგები და დამატებითი რეკომენდაციები ასახულია შესაბამის დოკუმენტში, რომელიც განთავსებულია შიდა დისკზე „Angarishebi". ხოლო, იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადა საპრეზენტაციო მასალა გაცემული და გათვალისწინებული რეკომენდაციების შესახებ. | 100 % | ანალიზი განხორციელებულია<br><br>გაცემული და გათვალისწინებული რეკომენდაციების შესახებ საპრეზენტაციო მასალა მომზადებულია | განხორციელდა 6 დამკვირვებელი ორგანიზაციის ანგარიშის ანალიზი<br><br>მომზადდა საპრეზენტაციო მასალა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი |
| 3.4 | **მიზანი** | საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა | | | | | |
| 3.4.1 | **ამოცანა** | ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | შესაბამისი საარჩევნო ტექნოლოგიები იდენტიფიცირებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.4.1.1 | სხვა სახელმწიფოში მცხოვრები ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ახალი შესაძლებლობის შესწავლა | განხორციელდა | სხვა სახელმწიფოში მცხოვრები ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ახალი შესაძლებლობის შესწავლის მიზნით, საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტმა შეისწავლა სხვა ქვეყნების გამოცდილება, შეიმუშავა კონცეფცია და კითხვარი. მომზადდა პრეზენტაცია, რომელიც განთავსებულია შიდა დისკზე „Angarishebi". | 100 % | საერთაშორისო გამოცდილება შესწავლილია<br><br>შესაძლებლობები განხილულია | შესწავლილია საერთაშორისო გამოცდილება<br><br>მომზადდა პრეზენტაცია და შესაძლებლობები განხილულია | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.4.1.2 | კონკურსის ორგანიზება ინოვაციური საარჩევნო ტექნოლოგიების შესახებ | განხორციელდა | 19 სექტემბერს ცესკომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა (IFES) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით გამოაცხადა იდეათა კონკურსი ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროექტების შესახებ. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ საქართველოს 18-35 წლის მოქალაქეებს. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ იდეას უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნები: ინოვაციურობა; ინფორმირებაზე ორიენტირებული; განხორციელებადი; საარჩევნო ადმინისტრაციის მანდატის ფარგლებში; ადვილად მოხმარებადი და მისაწვდომი. კონკურსში გამარჯვებულებისთვის გათვალისწინებული იყო ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქარი.<br><br>19-30 სექტემბრის ჩათვლით, კონკურსში მონაწილეობის მსურველებს უნდა გამოეგზავნათ სამოტივაციო წერილი და საკონკურსო იდეის არსი, მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და სავარაუდო ბიუჯეტი. ამასთან, უნდა ყოფილიყო აღწერილი კონკურსანტის უნარები, რომელიც ხელს შეუწყობდა მის ჩართულობას სამუშაო ჯგუფში. კონკურსის I ეტაპზე წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე უნდა შერჩეულიყვნენ კონკურსანტები. II ეტაპზე კი შერჩეული კონკურსანტებით დაკომპლექტდებოდა სამუშაო ჯგუფები, სადაც შეჯერდებოდა იდეები, რის შემდეგაც გამოვლინდებოდა გამარჯვებული ჯგუფი. კონკურსი ასევე ითვალისწინებდა შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს წარმომადგენლების კონკურსში მონაწილეობას.<br><br>კონკურსში შემოსული ხუთი განაცხადის განხილვის შედეგად, კომისიამ დაადგინა, რომ არცერთი განაცხადი არ აკმაყოფილებდა კრიტერიუმებს. შემოსული განაცხადების სიმცირე არღვევდა კონკურსის არსს, რადგან შეუძლებელი იყო კონკურსანტების სამუშაო ჯგუფებად დაკომპლექტება. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე იდეათა კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა. | 100 % | სამუშაო ჯგუფი შექმნილია<br><br>საკონკურსო პირობები განსაზღვრულია<br><br>კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა | სამუშაო ჯგუფი შეიქმნა ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 მარტის №01-61 ბრძანებით<br><br>ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 21 ივლისის №01-98 ბრძანებით დამტკიცდა კონკურსის წესი<br><br>კონკურსში მონაწილეობდა 5 პროექტი | ცესკოს სამუშაო ჯგუფი |
| 3.4.2 | **ამოცანა** | ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცედურების გამარტივება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | დანერგილი ტექნოლოგიური ცვლილებები პოზიტიურად შეფასებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 3.4.2.1 | არჩევნების მართვის სისტემის “არმასი” პროგრამული განახლება | განხორციელდა | საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის, საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტმა განაახლა არჩევნების მართვის სისტემა „არმასი“. სხვადასხვა მოდულებში საჭირო ცვლილებების ჩამონათვალი გადაეცა შესაბამის დეპარტამენტს და აისახა სისტემაში.<br><br>ასევე, მიმდინარეობს შეხვედრები არსებული სისტემის ახალი ვერსიის შესაქმნელად, სადაც აღიწერება მოდულების ფუნქციები. | 100 % | შესატანი ცვლილებები იდენტიფიცირებულია<br><br>ახალი მოდულები შექმნილი და დანერგილია | გამოვლინდა საჭირო ცვლილებები<br><br>სისტემაში აისახა ცვლილებები, თუმცა მიმდინარეობს მუშაობა სისტემის განახლებაზე | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **ინკლუზიური საარჩევნო გარემო**<br>თანაბარი, ყველასთვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს განვითარება, საარჩევნო პროცესში ყველა მხარის ჩართულობის ხელშეწყობა | | | | | |
| 4.1 | **მიზანი** | საარჩევნო პროცესებში მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაუმჯობესება | | | | | |
| 4.1.1 | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი ინფორმაციის უზრუნველყოფით | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო პროცესებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშეწყობისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 4.1.1.1 | ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ამომრჩეველთა გამოკითხვა შეთავაზებული სერვისების შესახებ | განხორციელდა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა შეიმუშავა კითხვარი ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების ინფორმირების არხების შესახებ. აღნიშნული კითხვარით ჩატარდა გამოკითხვა ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში.<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ გაზიარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სულ გამოიკითხა 232 პირი:<br>• საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაცია სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე განთავსებული ვიდეორგოლის მეშვეობით მიიღო გამოკითხულთა 78-მა პროცენტმა;<br>• არჩევნებში მონაწილეობის დროს აზერბაიჯანულ ან/და სომხურ ენებზე ნათარგმნი ბიულეტენით ისარგებლა 64-მა პროცენტმა;<br>• ცესკოს ვებგვერდზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემები აზერბაიჯანულ ენაზე გადაამოწმა გამოკითხულთა 21-მა პროცენტმა, ხოლო სომხურ ენაზე 32-მა პროცენტმა;<br>•ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის კონტაქტ-ჰაბის მეშვეობით აზერბაიჯანულ ენაზე მიიღო გამოკითხულთა 18-მა, ხოლო სომხურ ენაზე – 31-მა პროცენტმა. | 100% | კითხვარი შემუშავებულია<br><br>გამოკითხვის შედეგები ანგარიშში ასახულია | შემუშავდა კითხვარი<br><br>გამოკითხვის შედეგები აისახა ანგარიშში | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |
| 4.1.1.2 | ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საპილოტე პროექტის "საჯარო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის საინფორმაციო კურსი - დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო" განხორციელება | განხორციელდა | 10-11 მაისს სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, განახორციელა საპილოტე პროექტი „დემოკრატიული არჩევნები და საარჩევნო გარემო“. პროექტის მიზანი იყო – ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართებით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში განლაგებულ საჯარო სკოლებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო კომპონენტის გაძლიერება დემოკრატიული არჩევნების არსისა და არჩევნებში მოქალაქის ჩართულობის მნიშვნელობის საკითხებზე.<br><br>სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა საჯარო სკოლების პედაგოგებს გააცნეს შემდეგი საკითხები: ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ზოგადი მიმოხილვა, მოქალაქის საარჩევნო უფლების მნიშვნელობა და ადგილი პოლიტიკურ უფლებათა სპექტრში, დემოკრატიული არჩევნების არსი და არჩევითი სახელმწიფო ორგანოები საქართველოში, საქართველოს არჩევნების ისტორიის ექსკურსი და თანამედროვე საარჩევნო გარემო, კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული საარჩევნო სერვისები, მათ შორის, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განმტკიცების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. | 100% | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობა განხორციელებულია<br><br>საინფორმაციო მასალა შემუშავებულია<br><br>არანაკლებ 20 საჯარო სკოლაში საინფორმაციო-სასწავლო კურსი სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან<br><br>მომზადდა პრეზენტაცია, დამხმარე საინფორმაციო მასალა მასწავლებლებისთვის<br><br>სასწავლო კურსი ჩატარდა 8 მუნიციპალიტეტში (ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, მარნეული, წალკა) განლაგებულ 25 საჯარო სკოლაში<br><br>სასწავლო კურსი გაიარა 51-მა პედაგოგმა, მათ შორის 25 - აზერბაიჯანულენოვანი სექტორიდან და 26 - სომხურენოვანი სექტორიდან | სწავლების ცენტრი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.1.1.3 | ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საპილოტე პროექტის “საჯარო სკოლებში თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა” განხორციელება | განხორციელდა | ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, განახორციელეს ახალი პროექტი „ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განლაგებულ საჯარო სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა“. პროექტი მოიცავდა როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო კომპონენტს, ისე საარჩევნო პროცესის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.<br><br>სწავლების ცენტრმა შეიმუშავა საინფორმაციო პროგრამა, რომლის საფუძველზეც, მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს, გადამზადება საპილოტე პროექტისთვის განსაზღვრული საჯარო სკოლების მასწავლებლების საჯარო სკოლებში თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების პროცედურებზე. ტრენერებად გადამზადებული საჯარო სკოლების წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, მოახდინეს მოსწავლეთა ინფორმირება სკოლის თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატის, საარჩევნო კომისიის წევრისა და ამომრჩევლის რანგში მონაწილეობის საკითხებზე. შემუშავდა სარეკომენდაციო ხასიათის დამხმარე ინსტრუქცია, რომელშიც აისახა სკოლის თვითმმართველობის არჩევნების საორგანიზაციო-პროცედურული საკითხები.<br><br>მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები, სამინისტროსთან შეჯერებული გრაფიკის შესაბამისად, 2022 წლის 10-21 ოქტომბრის პერიოდში ჩატარდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერის ნაწილში, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების ჩართულობით, საჯარო სკოლები აღჭურვა საარჩევნო ინვენტარით (კენჭისყრის კაბინები და საარჩევნო ყუთები). | 100 % | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობა განხორციელებულია<br><br>სახელმძღვანელო ინსტრუქცია შემუშავებულია<br><br>გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br><br>არანაკლებ 20 საჯარო სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის საჯარო სკოლის თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების პროცედურებზე ინსტრუქტაჟი განხორციელებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა<br><br>საჯარო სკოლის თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებისთვის სსკ-ების მიერ ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია | ჩატარდა სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან პროგრამის ორგანიზება-იმპლემენტაციის საკითხებზე<br><br>შემუშავდა საინფორმაციო-სასწავლო რესურსი (პრეზენტაცია, დამხმარე საინფორმაციო მასალა მასწავლებლებისთვის)<br><br>გადამზადდა 22 ტრენერი<br><br>პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 8 მუნიციპალიტეტში განლაგებულ 21 საჯარო სკოლაში<br><br>გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა მონაწილემ, მათ შორის იყო 17 ქალი (77%) და 5 კაცი (23%).<br><br>საარჩევნო ადმინისტრაციამ, შესაბამისი სსკ-ების ჩართულობით, უზრუნველყო ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარდაჭერა ბოლნისის, დმანისის, წალკის, მარნეულის, გარდაბნის, ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის საჯარო სკოლებისთვის | სწავლების ცენტრი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| 4.1.1.4 | საარჩევნო პროცესში ჩართულობის მნიშვნელობაზე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება | განხორციელდა | 2022 წლის 1-10 ივნისისა და 5-7 ოქტომბრის პერიოდში, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარების და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისა და მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრის ორგანიზებით, 12 მუნიციპალიტეტში განლაგებულ 31 საჯარო სკოლაში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები VII-XII კლასის მოსწავლეებთან.<br>სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა საჯარო სკოლების მოსწავლეებთან განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: არჩევნებში ამომრჩევლის მონაწილეობის როლის მნიშვნელობა, საარჩევნო უფლების რეალიზების გარანტიები (მათ შორის ხმის მიცემის ფარულობა და კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოება), ინკლუზიურ საარჩევნო პროცესში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხელშემწყობი პირობები და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისები. პროექტში პარტნიორებად ჩართულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა კი შეხვედრის მონაწილეებს საარჩევნო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით საქართველოს გამოცდილება გაუზიარეს და არჩევნების სანდოობის ზრდის ხელშემწყობი ინსტრუმენტები (დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაცია, საარჩევნო უბნის შედეგების გადათვლა) გააცნეს. მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საჯარო სკოლებში მოეწყო კენჭისყრის იმიტირებული პროცესი, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებმა მოირგეს როგორც ამომრჩევლის, ისე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა როლები. | 100% | საინფორმაციო მასალა მომზადებულია<br><br>ახალგაზრდებთან და ქალებთან 12 სსკ-ს მიერ შეხვედრები ჩატარებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | მომზადდა საინფორმაციო რესურსი (პრეზენტაცია) და მატერიალური რესურსი იმიტირებული კენჭისყრის ჩასატარებლად<br><br>სწავლების ცენტრთან პარტნიორობით 12 სსკ-ს მიერ ახალგაზრდებთან და ქალებთან ჩატარდა 31 საინფორმაციო შეხვედრა<br><br>პროექტში მონაწილეობა 985-მა ახალგაზრდამ მიიღო, მათ შორის იყო 553 (57%) ქალი და 432 (43%) კაცი | სწავლების ცენტრი<br><br>სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| 4.1.2 | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო პროცესებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების ჩართულობის წახალისებისთვის გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 4.1.2.1 | შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა | განხორციელდა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა შეისწავლა 15 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკა არჩევნებში მონაწილე შშმ პირთა სტატისტიკის წარმოების შესახებ და მოამზადა შესაბამისი პრეზენტაცია, რომელიც 2022 წლის 4 თებერვალს, დისტანციურ შეხვედრაზე, წარედგინათ ცესკოში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებს. | 100 % | არანაკლებ 15 საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკა შესწავლილია<br><br>პრეზენტაცია მომზადებულია<br><br>ცესკოში არსებული სამუშაო ჯგუფის ფორმატში მიღებული შედეგები განხილულია | შესწავლილია 15 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკა<br><br>მომზადდა პრეზენტაცია, რომელიც განთავსებულია შიდა დისკზე “Angarishebi”<br><br>პრეზენტაცია წარედგინა სამუშაო ჯგუფის 25 წევრს | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.1.2.2 | ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადების მომზადება/ინიცირება | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა, საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საკანონმდებლო წინადადების პაკეტში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო წინადადების ასახვის საჭიროების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა იურიდიულ დეპარტამენტს.<br><br>საკანონმდებლო წინადადება წარედგინა საქართველოს პარლამენტს, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს მიერ გათვალისწინებულ იქნა საქართველოს საარჩევნო კოდექსის გარდამავალ ნორმად, ხოლო გარდამავალი ნორმის ვადა გახანგრძლივდა 2026 წლის იანვრამდე.<br><br>ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პროცესი საანგარიშო პერიოდში არ დასრულებულა, ინფორმირების კამპანია ვერ ჩატარდა. | 90 % | საკანომდებლო წინადადება მომზადებული და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია<br><br>საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემდეგ ინფორმირების კამპანია განხორციელებულია | მომზადდა და  საქართველოს პარლამენტს წარედგინა საკანომდებლო წინადადება<br><br>საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების პროცესი არ დასრულებულა, შესაბამისად, ინფორმირების კამპანია არ განხორციელებულა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |
| 4.1.2.3 | მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის საარჩევნო დოკუმენტაციისა და საინფორმაციო მასალების მისაწვდომობის შესწავლა | განხორციელდა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა შეისწავლა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით შემუშავებული საინფორმაციო მასალები და მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის მისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობა.<br><br>დეპარტამენტმა შეისწავლა ხუთი ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის პრაქტიკა, კერძოდ, ავსტრალია, ახალი ზელანდია, მოლდოვა, უგანდა და გაერთიანებული სამეფო. რეკომენდაციების მიღების მიზნით საინფორმაციო მასალები გაიგზავნა ასოციაცია „ანიკასთან“, რომლის მხრიდანაც გაზიარებულ იქნა რიგი კომენტარები/რეკომენდაციები.<br><br>ამჟამად შემუშავებულია მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის საინფორმაციო მასალების მისაწვდომობის პროექტი, რომელიც განახლდება საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად. | 100 % | საარჩევნო დოკუმენტაცია და საინფორმაციო მასალები შესწავლილია<br><br>რეკომენდაციები შემუშავებული და ცესკოსთვის წარდგენილია | შესწავლილია საარჩევნო დოკუმენტაცია და საინფორმაციო მასალები<br><br>შემუშავდა და ცესკოს წარედგინა რეკომენდაციები | ცესკოს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი |
| 4.2. | **მიზანი** | თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა | | | | | |
| 4.2.1 | **ამოცანა** | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 4.2.1.1 | გენდერული პორტალის გაუმჯობესება | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა მოამზადა პრეზენტაცია გენდერული პორტალის ფუნქციონირებისა და მისი გაუმჯობესების გზების შესახებ, რომელიც წარედგინა ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოს და ასევე გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს. | 40 % | პორტალის განვითარების კონცეფცია შემუშავებულია<br><br>პორტალი განახლებულია<br><br>მომხმარებელთა რაოდენობა | მომზადდა გენდერული პორტალის კონცეფციის პროექტი | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>ცესკოს გენდერული საბჭო |
| 4.2.1.2 | თანამშრომლობის გაძლიერება ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან | განხორციელდა დაგვიანებით | ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭომ გამართა შეხვედრა ქალთა უფლებებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. გაიმართა შეხვედრები გაეროს ქალთა ორგანიზაცია UN Women-თან და საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან, რომლებზეც დაისახა თანამშრომლობის გეგმები. | 100 % | საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან შეხვედრა გამართულია<br><br>ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა გამართულია | გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან<br><br>გაიმართა შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან | ცესკოს გენდერული საბჭო |
| 4.2.1.3 | საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკის გადახედვა | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ძალისხმევით მიღწეულ იქნა შეთანხმება დონორ ორგანიზაციასთან, რომლის შედეგად გენდერული პოლიტიკის დოკუმენტის გადახედვაში ჩაერთო ექსპერტი. ჩატარდა შეხვედრები და თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფებისა და ინდივიდუალური ინტერვიუების ფორმატში, შემუშავდა და შეივსო კითხვარი. გადაიხედა საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკის დოკუმენტი და ამ დოკუმენტთან ბმაში არსებული ყველა საჭირო დოკუმენტი. | 80 % | საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკის დოკუმენტი განახლებულია | შესრულდა პოლიტიკის დოკუმენტის განახლებისთვის საჭირო ძირითადი საქმიანობა. დოკუმენტის განახლება დასრულდება 2023 წელს | ცესკოს გენდერული საბჭო |
| 4.2.1.4 | გენდერულ ჭრილში არჩევნების ისტორიის პოპულარიზაცია | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ძალისხმევით მიღწეულ იქნა შეთანხმება დონორ ორგანიზაციასთან გენდერულ ჭრილში არჩევნების ისტორიის ბუკლეტის შემუშავებაზე.  განისაზღვრა ბუკლეტის კონცეფცია. ბუკლეტისთვის მასალის მოძიების პროცესში იყო ჩართული ორი მკვლევარი, რომლებმაც მოამზადეს საჭირო მასალა ქართულ ენაზე. დოკუმენტი ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ბუკლეტის პრეზენტაცია დაგეგმილია 2023 წლის გაზაფხულზე. | 90 % | კონცეფცია შემუშავებულია<br><br>ღონისძიებების რაოდენობა | შემუშავდა ბუკლეტის კონცეფცია<br><br>ბუკლეტისთვის საჭირო ინფორმაცია მოძიებულია, მასალა შემუშავებული და ნათარგმნია ინლისურ ენაზე | ცესკოს გენდერული საბჭო<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |

| 4.2.2 | **ამოცანა** | საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობის წახალისების მიზნით გამოყენებული მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 4.2.2.1 | საარჩევნო პროცესში ქალი კანდიდატების წინაშე არსებული ბარიერების შესწავლა | განხორციელდა | ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭომ, საარჩევნო პროცესში ქალი კანდიდატების წინაშე არსებული ბარიერების შესწავლის მიზნით კვლევის ჩასატარებლად მოლაპარაკებები აწარმოა დონორ ორგანიზაციასთან – ევროსაბჭოსთან. დონორ ორგანიზაციასთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დონორ ორგანიზაციასთან გაიგზავნა კონცეფცია.<br><br>კონცეფციის შესაბამისად განხორციელდა თვისებრივი და რაოდენობრივი გამოკითხვა. მომზადდა ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე. 2022 წლის 8 დეკემბერს ანგარიში წარედგინა ჩართულ მხარეებს. | 100 % | კითხვარი შემუშავებულია<br><br>ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით გამოკითხვა ჩატარებულია<br><br>გამოკითხვის შედეგები ანგარიშში ასახულია<br><br>პრეზენტაცია ჩატარებულია | შემუშავდა კითხვარი<br><br>ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობით ჩატარდა გამოკითხვა<br><br>ანგარიში ჩართულ მხარეებს წარედგინა 2022 წლის 8 დეკემბერს. | ცესკოს გენდერული საბჭო |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | **სტრატეგიული პრიორიტეტი** | **მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება**<br>მართვის ეფექტიანობის ზრდისა და ინსტიტუციური სრულყოფის შედეგად არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის სათანადო ხარისხის სერვისების მიწოდება | | | | | |
| 5.1 | **მიზანი** | მართვის ეფექტიანობის და ხარისხის კონტროლის მუდმივი გაუმჯობესება | | | | | |
| 5.1.1 | **ამოცანა** | მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) განვითარება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | მართვის ხარისხის სტანდარტის (ISO) შენარჩუნებულია და საკონტროლო აუდიტი წარმატებით გავლილია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.1.1.1 | ხარისხის მართვის სერტიფიკატი განახლებულია | განხორციელდა | 2022 წლის 16 ივნისს, სააკრედიტაციო ავსტრიული ორგანიზაციის „ტუვ ავსტრიის“ (TUV AUSTRIA CERT GMBH) საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის საკონტროლო აუდიტის წარმატებით გავლის საფუძველზე ცესკოს მიენიჭა ISO ხარისხის სერტიფიკატი.<br>მინიჭებული სერტიფიკატის შენარჩუნებისთვის დაიგეგმა ISO ხარისხის განვითარების შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:<br>• ტრენინგი – „ISO ხარისხის სტანდარტების გაცნობა, ხარიხის ფლობის მნიშვნელობა, პროცედურული საკითხების გაცნობა“ პროცესში მონაწილე თანამშრომლებისთვის“;<br>• პროცესის სტანდარტის გადახედვა დოკუმენტაციის ISO ხარისხისა და ცესკოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების, ასევე სხვა დოკუმენტების გაერთიანების მიზნით; დოკუმენტების განახლება/დამტკიცება; საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე განახლებული დოკუმენტაციების განხილვა; შიდა და გარე აუდიტის დაგეგმვა/ორგანიზება/გავლა. | 100 % | შიდა და გარე აუდიტორების მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია<br><br>ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების და დანერგვის საკოორდინაციო საბჭოს გამართული შეხვედრების რაოდენობა<br><br>განახლებული დოკუმენტები შეთანხმებული და საბჭოს მიერ დამტკიცებულია<br><br>შიდა და გარე (საკონტროლო) აუდიტები წარმატებით გავლილია | გათვალისწინებულია შიდა და გარე აუდიტორების მიერ გაცემული რეკომენდაციები<br><br>გაიმართა ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის საკოორდინაციო საბჭოს 3 შეხვედრა<br><br>შეთანხმდა და საბჭოს მიერ დამტკიცდა განახლებული დოკუმენტები<br><br>წარმატებით გავლილია შიდა და გარე (საკონტროლო) აუდიტები<br><br>განახლდა სერტიფიკატი | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| 5.1.1.2 | შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | შრომის უსაფრთხოების კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსების საჭიროებები მათი კლასიფიკაციის გათვალისწინებით როგორც ცესკოში, ისე სსკ-ებში.<br><br>საფინანსო დეპარტამენტმა უზრუნველყო გამაფთრხილებელი ნიშნებისა და ტექნიკური პერსონალისთვის სპეც. ტანსაცმლის შეძენა.<br><br>ადამიანური რესურსების მართვის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის სამი თანამშრომელი გადის სასერტიფიკაციო ტრენინგს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით. გადამზადებული თანამშრომლები ჩაატარებენ პირველადი დახმარებისა და შრომის უსაფრთხოების ტრენინგს ახალდანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის, ასევე პასუხისმგებელი პირებისთვის – ინსტრუქტაჟს სახანძრო უსაფრთხოებასა და საგანგებო სიტუაციების მართვასთან დაკავშირებით. | 60 % | შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის სახელმძღვანელო დამტკიცებულია<br><br>შიდა ორგანიზაციული აუდიტი ჩატარებულია და საფრთხეები იდენტიფიცირებულია<br><br>ანალიზი განხორციელებულია და პრევენციული ღონისძიებები განსაზღვრულია<br><br>პირველადი დახმარების ტრენინგი არანაკლებ 255 წევრისთვის და ცესკოს აპარატის არანაკლებ 100 თანამშრომლისთვის ჩატარებულია<br><br>ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოების ტრენინგი ჩატარებულია | ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 იანვრის №01-08 ბრძანებით დამტკიცდა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის სახელმძღვანელო<br><br>ჩატარდა შიდა ორგანიზაციული აუდიტი და გამოვლინდა საფრთხეები<br><br>განხორციელდა ანალიზი და განისაზღვრა პრევენციული ღონისძიებები | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>საფინანსო დეპარტამენტი |

| 5.1.2 | **ამოცანა** | რისკებისა და კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | რისკები იდენტიფიცირებულია და კრიზისების მართვის მექანიზმები შემუშავებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.1.2.1 | რისკებისა და კრიზისების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება | განხორციელდა | საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ ფუნქციების შესრულების შეუძლებლობის გამო ფუნქციების განაწილების, დროებით დაკისრების/შეთავსების მიზნით განისაზღვრა ბიზნეს პროცესებში ფუნქციის ძირითადი და დამხმარე შემსრულებლები. მენტორების სტატუსი მიენიჭათ ფუნქციის ინდივიდუალურ შემსრულებელ პირებსაც, რომლებმაც გადაამზადეს შესაბამისი ფუნქციის შემსრულებელი შეგირდები.<br><br>2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩატარების მიზნით, ინიცირებულ იქნა ცვლილები მთავრობის №975 დადგენილებაში, ცენტრალური, საოლქო და სწავლების ცენტრის თანამშრომელთა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგებზე დამსწრე პირთა, აგრეთვე კენჭისყრის დღეს ადგილობრივი დამკვირვებლების, საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების სწრაფი ანტიგენის ტესტით ტესტირების, ხოლო პენიტენციურ დაწესებულებებში შექმნილი უბნების წევრების PCR ტესტირების პროცესის განხორციელება. | 100 % | საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლის მიერ ფუნქციების შესრულების შეუძლებლობის გამო ფუნქციების განაწილების, დროებით დაკისრების/შეთავსების ეფექტური მექანიზმი შემუშავებულია<br><br>პანდემიიდან (Covid 19) გამომდინარე რისკების შემცირების მიზნით პრევენციული ღონისძიებები დაგეგმილი და გან ხორციელებულია | ცესკოს თავმჯდომარის 2022 წელის 23 თებერვლის №01-45 ბრძანებით განისაზღვრა ინდივიდუალური შემსრულებელი პირები, რომელთა მიერ ხორციელდება შესაბამისი ფუნქციის შემსრულებელი შეგირდების გადამზადება<br><br>დაიგეგმა და განხორციელდა პანდემიის გამო პრევენციული ღონისძიებები | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| 5.1.3 | **ამოცანა** | ელექტრონული ინსტრუმენტების საშუალებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ელექტრონული შესაძლებლობები შექმნილი და დანერგილია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.1.3.1 | დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა | შეჩერებულია | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა მოამზადა დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის ტექნიკური დავალება, რომელიც წარედგინა საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.<br><br>ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით არასაკმარისი ფინანსური რესურსების, ასევე ახალი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განსხვავებული სტრუქტურით შემუშავების გამო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნის შეჩერება. | 20 % | ტექნიკური დავალება მომზადებულია<br><br>პროგრამა შექმნილი და პილოტირებულია | მომზადდა ტექნიკური დავალების პროექტი | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 5.1.3.2 | ფინანსური (ბუღალტრული აღრიცხვის) დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოებისა და დაარქივების დანერგვა | განხორციელდა | ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოებისა და დაარქივების შესაძლებლობის შესწავლის მიზნით, გაიმართა შეხვედრები ცესკოს მდივნის აპარატის, საფინანსო, იურიდიული და საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტების ხელმძღვანელ პირებთან.<br><br>საფინანსო დეპარტამენტმა, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად, განსაზღვრა დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლოა იწარმოოს და დაარქივდეს ელექტრონულად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცესკოს მდივნის აპარატის მიერ მომზადდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმეთა ნომენკლატურის ცვლილების პროექტი, ცესკოს მუდმივმოქმედი ცენტრალური საექსპერტო კომისიისთვის წარსადგენად. ამასთან, განისაზღვრა ელექტრონული დოკუმენტაციის აღრიცხვისა და შენახვის წესი/ინსტრუქცია და მომზადდა შესაბამისი დანართები: ცესკოს სტრუქტურული ერთეულებიდან გადმოცემული ელექტრონული საარქივო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი და ელექტრონული დოკუმენტების/ფაილების აღმწერი საინფორმაციო კატალოგი/სააღრიცხვო ბარათი. | 100 % | ფინანსური დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოებისა და დაარქივების შესაძლებლობები შესწავლილია<br><br>ნომენკლატურაში ასახვის მიზნით ფინანსური დოკუმენტაციის ელექტრონულად აღრიცხვისა და შენახვის წესი შემუშავებულია | შესწავლილია ფინანსური დოკუმენტაციის ელექტრონულად წარმოებისა და დაარქივების შესაძლებლობები<br><br>შემუშავდა ნომენკლატურაში ასახვის მიზნით ფინანსური დოკუმენტაციის ელექტრონულად აღრიცხვისა და შენახვის წესი | საფინანსო დეპარტამენტი<br><br>ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი)<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 5.1.3.3 | საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის (Edocument) შესაძლებლობების დანერგვის შესწავლა | განხორციელდა | ცესკოს სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ხელშეკრულებების პროექტების ელექტრონული წარმოების შესაძლებლობის შესწავლის მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (eDocument) ცესკოს მდივნის განკარგულებების ელექტრონულად წარმოების შესახებ.<br><br>აღნიშნულ საკითხზე შედგა მოლაპარაკებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან, რომლის შედეგად „eDocument"-ში ინტეგრირდა ცესკოს მდივნის განკარგულების ბლანკი და გათვალისწინებულ იქნა ყველა შესაძლო ტექნიკური მოთხოვნა. ასევე, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენელთან ერთად ჩატარდა ტრენინგი ცესკოს მდივნის აპარატის თანამშრომლებისთვის. | 100 % | ცესკოს სამართლებრივი აქტების მომზადების და ხელშეკრულებების პროექტების ელექტრონული წარმოების შესაძლებლობა შესწავლილია<br><br>პილოტირება ჩატარებულია და შედეგები ანგარიშში ასახულია | შესწავლილია სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ხელშეკრულებების პროექტების ელექტრონული წარმოების შესაძლებლობა<br><br>ცესკოს მდივნის განკარგულებები იწარმოება (მზადდება/რეგისტრაციაში ტარდება) ელექტრონულად საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაში (eDocu-ment ) | ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი)<br><br>იურიდიული დეპარტამენტი<br><br>ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |

| 5.1.4 | **ამოცანა** | ინსტიტუციური ეფექტიანობის გაუმჯობესება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ინსტიტუციური ეფექტიანობის ხელშემწყობი მექანიზმები გაუმჯობესებულია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.1.4.1 | ცესკოს აპარატის ინსტიტუციური ანალიზის განხორციელება | განხორციელდა | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტმა განახორციელა ცესკოს აპარატის სტრუქტურის SWOT ანალიზი.<br>„HR პირადი ასისტენტის პროექტის“ განხორციელების შედეგად დადგენილი საჭიროებების გათვალისწინებით, განხორციელდა აპარატის ინსტიტუციური/ ფუნქციური ანალიზი დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილ ბიზნესპროცესების შევსებული ფორმებთან მიმართებაში. ანალიზის შედეგები წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელობას. | 100 % | ცესკოს აპარატის სტრუქტურის შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან დადგენილია<br><br>ცესკოს აპარატის ფუნქციური ანალიზი განხორციელებულია<br><br>ორგანიზაციული რესურსების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, ასევე სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესების გზები იდენტიფიცირებულია | განხორციელდა ცესკოს აპარატის სტრუქტურის შესაბამისობის ანალიზი<br><br>განხორციელდა ორგანიზაციული რესურსების გამოყენების ანალიზი<br><br>შემუშავდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესების გზები და წარედგინა ხელმძღვანელობას | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| 5.1.4.2 | პორტალის „ვაკანსიები საარჩევნო ადმინისტრაციაში” შექმნა | განხორციელდა | საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის ვაკანტურ ადგილებზე განაცხადის ელექტრონულად წარდგენის მიზნით შეიქმნა ელექტრონული პორტალის კონცეფცია, შემუშავდა ტექნიკური დავალება.<br><br>შეიქმნა და საპილოტე რეჟიმში მუშაობს „კონკურსებში განაცხადების ელექტრონულად წარდგენის პლატფორმა“. ამ ეტაზე კონკურსებზე და საგანმანათლებლო პროექტებზე განაცხადების მიიღება ხდება ელექტრონულად. | 100 % | კონცეფცია მომზადებულია<br><br>პორტალი შექმნილია<br><br>პორტალის პილოტირება განხორციელებულია | მომზადდა კონცეფცია<br><br>შეიქმნა პორტალი, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა 2022 წლის 2 აპრილის შუალედურ არჩევნებზე | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br><br>ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |
| 5.1.4.3 | პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავება | განხორციელდა | სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ახალი სასწავლო პროექტი – პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“.<br><br>სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა საქმიანობის კონცეფციის მიხედვით მოამზადა შესაბამისი სააკრედიტაციო დოკუმენტაცია, რომელიც 2022 წლის 28 დეკემბერს აკრედიტაციისთვის წარედგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.<br><br>პროგრამა შედგება ოთხი საგნისგან: ადმინისტრაციული წარმოება; ეთიკა საჯარო სამსახურში; პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა; ეფექტიანი მომსახურება და დროის მართვა. სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი) განთავსებულია სწავლების ცენტრის ვებგვერდზე. | 100 % | საქმიანობის კონცეფცია შემუშავებულია<br><br>პროგრამა მომზადებულია და აკრედიტაციისთვის წარდგენილია | შემუშავდა პროგრამის კონცეფცია<br><br>მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარედგინა სასწავლო პროგრამა და სააკრედიტაციო დოკუმენტაცია | სწავლების ცენტრი |
| 5.1.4.4 | საარჩევნო ადმინისტრაციის შიდა კომუნიკაციის ქსელის შექმნა | შეჩერებულია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტმა, საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ელექტრონული შიდა საკომუნიკაციო ქსელის – HR პორტალის განახლების კონცეფცია. ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული პროექტის განხორციელება გადაიდო მომდევნო პერიოდისთვის. | 50 % | კომუნიკაციის ინსტრუმენტი შერჩეულია<br><br>თანამშრომელთა გამოკითხვა შიდა საკომუნიკაციო ქსელის მოხმარების შესახებ ჩატარებულია | კომუნიკაციის ინსტრუმენტი HR პორტალის შექმნა შეჩერებულია | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი<br><br>საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1.4.5 | საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის განხორციელება | განხორციელდა | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა უზრუნველყო ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეების ინფორმირება 2022 წელს გამართული შუალედური არჩევნების შესახებ. არჩევნები ჩატარდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით საპილოტე რეჟიმში და მომზადდა და გავრცელდა შესაბამისი საინფორმაციო მასალა; მომზადდა და შესაბამისი რეგიონული ტელეკომპანიების ეთერში განთავსდა ვიდეორგოლი ხმის მიცემის ინსტრუქციის შესახებ. კენჭისყრის დღეს აღნიშნული ვიდეორგოლი ყველა საარჩევნო უბანზე განთავსებული იყო სპეციალურად დამონტაჟებულ მონიტორებზე. გარდა ამისა, მომზადდა და გავრცელდა ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი ფლაერი.<br><br>ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის ოფიციალურ გვერდებზე სოციალურ ქსელებში განხორციელდა საინფორმაციო კამპანია. ცესკოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსდა 214 ინფორმაცია. ჩატარდა 15 საინფორმაციო ბრიფინგი. საინფორმაციო-ანალიტიკურმა განყოფილებამ დაამუშავა 1 503 ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ. ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 203 ინფორმაცია შეიცავდა დეზინფორმაციას. მომზადდა თემატური მოკვლევის ანგარიშები, რომლებიც გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე. | 100 % | კომუნიკაციის სტრატეგია განახლებული და განხორციელებულია<br><br>განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა<br><br>გამოყენებული საინფორმაციო არხების რაოდენობა<br><br>საინფორმაციო-საიმიჯო კამპანიის განხორციელების შესახებ ინფორმაცია ანგარიშში ასახულია | განახლდა კომუნიკაციის სტრატეგია<br><br>საინფორმაციო კამპანია განხორციელდა ორი ძირითადი მიმართულებით: საარჩევნო ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობის გაშუქება; 2022 წლის 1 ოქტომბრის შუალედური არჩევნების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება<br><br>გამოყენებული იყო ხუთი საინფორმაციო არხი - ვებგვერდი, ცენტრალური და რეგიონული ტელევიზია, სოციალური ქსელები, მონაწილეობა გადაცემებში | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |
| 5.2 | **მიზანი** | ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება | | | | | |
| 5.2.1 | **ამოცანა** | თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | პროფესიული განვითარების მექანიზმების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.2.1.1 | საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის “საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები პოტენციური საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის” განხორციელება | გაუქმებულია | ცესკო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით პროექტის განხორციელება გადაიდო მომდევნო წლისთვის | 0% | პროგრამის კონცეფცია და სასწავლო მასალა განახლებულია<br><br>გადამზადებული ტრენერების რაოდენობა<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | | სწავლების ცენტრი<br><br>საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| 5.2.1.2 | საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის სასწავლო პროგრამის „ტრენერის პროფესიული უნარები და ონლაინ-სწავლების რესურსების გამოყენების ტექნიკა” განხორციელება | განხორციელდა | 2022 წლის 14 თებერვალი-11 მარტის პერიოდში, სამოქალაქო საარჩევნო სასწავლო პროექტებისთვის ტრენერთა საკადრო რესურსის გაძლიერების მიზნით, სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ჩაატარა სასწავლო პროგრამა „ტრენერის პროფესიული უნარები და ონლაინ-სწავლების რესურსების გამოყენების ტექნიკა“.<br><br>მონაწილეებმა, დისტანციური და პირისპირ ტრენინგების ფორმატში, ინტენსიური სწავლება გაიარეს შემდეგი საკითხები: ტრენინგის დაგეგმვა და სტრუქტურა; ტრენინგის პროგრამის დიზაინი; ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია; ონლაინ რესურსების გამოყენების ტექნიკა (Zoom; Mentimeter; Kahoot.com); ტრენერის გზამკვლევის შედგენისა და გამოყენების ტექნიკა; პრეზენტაციის წარდგენა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევები; ტრენინგის შეჯამება/შეფასების მექანიზმები. კურსის ფარგლებში, თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იყო სწავლების ახალი კომპონენტი, ტრენინგების დისტანციურად ჩატარების მეთოდოლოგია. მონაწილეებმა სასწავლო კურსი პოზიტიურად შეაფასეს. | 100 % | საინფორმაციო-სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>მონაწილეთა რაოდენობა | შემუშავდა სასწავლო მასალა: პრეზენტაცია, პრაქტიკული სავარჯიშოები, ტრენერის სახელმძღვანელო ინსტრუქცია<br><br>ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ადმინისტრაციის (სსკ-ები, ცესკოს აპარატი) 168 თანამშრომელმა, მათ შორის 99 (59%) ქალი და 69 (41%) კაცი | სწავლების ცენტრი<br><br>ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| 5.2.1.3 | საპილოტე პროექტის „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსი” განხორციელება | განხორციელდა | მნიშვნელოვანია, რომ პილოტის მასშტაბი გაიზარდა. სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსის უფასოდ გავლის შესაძლებლობა ჰქონდა ყველა მოქალაქეს, ვინც 2022 წლის 19 სექტემბრიდან გასამართი სასერტიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის პროცესში შესაბამის სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი სასწავლო კურსის სარეგისტრაციო განაცხადში დაადასტურა მოსამზადებელი კურსის გავლის სურვილი.<br><br>ტრენინგი მოიცავდა საქართველოს კონსტიტუციიდან, საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტებიდან სასერტიფიკაციო გამოცდისთვის შედგენილი ტესტების თემატიკას (არ შედიოდა საკითხები ზოგადი უნარებიდან, მათემატიკური და ვერბალური ნაწილი). სასწავლო კურსი ითვალისწინებდა სერტიფიცირების საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული საკითხების განხილვას. | 100% | სასწავლო მასალა მომზადებულია<br><br>საპილოტე პროექტის შედეგები ანგარიშში ასახულია | მომზადდა სასწავლო მასალები<br><br>გამოცდაზე რეგისტრირებული 1 033 მოქალაქიდან კურსის გავლაზე თანხმობა 755-მა (73%) განაცხადა, მათგან სასწავლო კურსი 294 (39%) მონაწილემ გაიარა, აქედან 230 (78%) იყო ქალი და 64 (22%) კაცი | სწავლების ცენტრი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.2.1.4 | საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება | განხორციელდა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტმა შეიმუშავა სსკ-ების გადამზადების პროგრამა. | 100 % | გადამზადების პროგრამის გეგმა შემუშავებულია | შემუშავდა გადამზადების პროგრამის გეგმა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი<br>ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი" |
| | | მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტმა შეადგინა ტრენინგების გრაფიკი და მოამზადა ტრენინგისთვის საჭირო მასალა. | 50 % | სატრენინგო მოდული „არჩევნების მართვის სისტემის არმასის გამოყენება” შემუშავებულია<br><br>სსკ-ების არანაკლებ 150 წევრისთვის ტრენინგი ჩატარებულია | შემუშავდა ტრენინგის მასალები | საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი |
| | | განხორციელდა | 2022 წლის 29 ივლისი-18 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში, ჩატარდა ტრენინგი საქმისწარმოების ზოგადი წესისა და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) მუშაობის შესახებ. ტრენინგისთვის ცესკოს მდივნის აპარატმა შეიმუშავა სატრენინგო მოდული „საქმისწარმოების წესი და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument)) მუშაობის წესი“ სახელმძღვანელო ინსტრუქციები და პრაქტიკული დავალებები. მომზადდა ტრენინგის გეგმა, Pre და Post ტესტები, ტრენინგის შეფასების კითხვარი. | 100 % | სატრენინგო მოდული „საქმისწარმოების წესი და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (eDocument) მუშაობის წესი” შემუშავებულია<br>სსკ-ების არანაკლებ 150 წევრისთვის ტრენინგი ჩატარებულია | შემუშავდა სატრენინგო მოდული<br><br>ჩატარდა ტრენინგი სსკ-ების 325 წევრისთვის | ცესკოს მდივნის აპარატი (დეპარტამენტი) |
| | | განხორციელდა | იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადა სატრენინგო მოდული და სსკ-ების შესაბამისი წევრების ჩაუტარა ტრენინგი სამართლებრივ წერაში. მოდული მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სამართლებრივი აქტების შედგენა, სამართლებრივი აქტების დასაბუთების მნიშვნელობა. ტრენინგი ჩაუტარდა მეტ მონაწილეს ვიდრე ეს იყო დაგეგმილი. | 100 % | სატრენინგო მოდული „სამართლებრივი წერა” შემუშავებულია<br>სსკ-ების არანაკლებ 150 წევრისთვის ტრენინგი ჩატარებულია | შემუშავდა სატრენინგო მოდული „სამართლებრივი წერა"<br><br>ტრენინგს დაესწრო სსკ-ების 365 წევრი | იურიდიული დეპარტამენტი |
| | | განხორციელდა | 2022 წლის 2 მაისი-15 ივნისის პერიოდში, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, ცესკოს იურიდიულმა დეპარტამენტმა და სწავლების ცენტრმა, სსკ-ების სრულ შემადგენლობას ჩაუტარეს ტრენინგი – „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება“. იურიდიული დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საინფორმაციო-სასწავლო კურსი საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ მოიცავდა შემდეგ საკითხებს: კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული საარჩევნო დავები, სსკ-ების მიერ საჩივრის განხილვის პროცედურა, სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან დაკავშირებით განცხადება/საჩივრის განხილვა/წარმოება.<br><br>სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ადმინისტრაციული ორგანოს სახელმძღვანელო პრინციპები ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სსკ-ს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საარჩევნო დავები-პრაქტიკული ნაწილი. | 100 % | საინფორმაციო-სასწავლო კურსი „სსკ-ების შესაძლებლობების გაძლიერება საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ” შემუშავებულია<br><br>საინფორმაციო-სასწავლო კურსი სსკ-ს არანაკლებ 150 ხელმძღვანელი პირისთვის ჩატარებულია<br>საორიენტაციო სასწავლო კურსი ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი შემუშავებულია<br><br>საორიენტაციო სასწავლო კურსი სსკ-ს არანაკლებ 150 ხელმძღვანელი პირისთვის ჩატარებულია | შემუშავდა საინფორმაციო-სასწავლო კურსი  სსკ-ების შესაძლებლობების გაძლიერება საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება<br><br>კურსი გაიარა 361-მა მონაწილემ, აქედან 73 სსკ-ს 350-მა წევრმა და ცესკოს აპარატის 11-მა თანამშრომელმა, მათ შორის, 218 (60%) ქალი და 143 (40%) კაცი. ტრენინგში მონაწილე სსკ-ების წევრების რაოდენობა 133 პროცენტით აღემატებოდა დაგეგმილს” | იურიდიული დეპარტამენტი<br><br>სწავლების ცენტრი<br>სწავლების ცენტრი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი |
| | | განხორციელდა | 2022 წლის 19-20 სექტემბრის პერიოდში, ცესკოს იურიდიული დეპარტამენტისა და სწავლების ცენტრის  თანამშრომლებმა ჩაატარეს ტრენინგი – „ეთიკის მენტორინგი და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან თავის შეკავება“. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის ეთიკის სტანდარტებს, მათ შორის, კანონიერების, კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის, პროფესიონალიზმის, ინტერესთა შეუთავსებლობის, კოლეგიალობისა და კომუნიკაციის, გამოხატვის თავისუფლების, გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპების არსსა და მოხელის საქმიანობაში მათი დაცვის მნიშვნელობას. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის განხილვისას ყურადღება გამახვილდა წინასაარჩევნო აგიტაციაში საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების მონაწილეობის შეზღუდვებზე. | 100 | საინფორმაციო-სასწავლო კურსი ეთიკის მენტორინგი და წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან თავის შეკავება შემუშავებულია<br><br>საინფორმაციო-სასწავლო კურსი სსკ-ების არანაკლებ 260 წევრისთვის და ცესკოს აპარატის არანაკლებ 80 თანამშრომლებისთვის ჩატარებულია | შემუშავდა სასწავლო კურსი<br><br>სასწავლო კურსი გაიარა 384-მა პირმა, აქედან ცესკოს აპარატის 49 თანამშრომელმა | სწავლების ცენტრი<br>იურიდიული დეპარტამენტი<br>ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| | | განხორციელდა | 2022 წლის 23-26 სექტემბრის პერიოდში, სწავლების ცენტრმა 73-ვე სსკ-ს მენეჯერული რგოლის წარმომადგენლებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე „მანდატის  შესაბამისი უფლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი აქტების ძირითადი  ასპექტების/სიახლეების მიმოხილვა“. ტრენინგი დაეთმო პროფილურად შრომის კოდექსის ძირითადი ასპექტების/სიახლეების გაცნობას. კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საკანონმდებლო რეგულაციები სსკ-ების არჩეულ წევრთა შრომით ურთიერთობასთან და სამსახურებრივ შეუთავსებლობასთან  მიმართებით; შრომის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკული ასპექტები სსკ-ების საქმიანობაში, მათ შორის სასამართლო პრაქტიკა, საერთაშორისო გამოცდილება და შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხები. | 100 % | საინფორმაციო კურსი მანდატის შესაბამისი უფლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი აქტების ძირითადი ასპექტების/სიახლეების მიმოხილვა შემუშავებულია<br>საინფორმაციო კურსი სსკ-ს არანაკლებ 150 ხელმძღვანელი პირისთვის ჩატარებულია | შემუშავდა საინფორმაციო კურსი<br><br>კურსი გაიარა 218-მა ხელმძღვანელმა პირმა | სწავლების ცენტრი<br><br>იურიდიული დეპარტამენტი |
| | | შეჩერებულია | საფინანსო დეპარტამენტმა შეიმუშავა სატრენინგო მოდული „ფინანსური მენეჯმენტი”, თუმცა ცესკოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ტრენინგის ჩატარება გადაიდო. | 80 % | სატრენინგო მოდული ფინანსური მენეჯმენტი შემუშავებულია<br><br>სსკ-ების არანაკლებ 70 წევრისთვის ტრენინგი ჩატარებულია | შემუშავდა სატრენინგო მოდული „ფინანსური მენეჯმენტი“ | საფინანსო დეპარტამენტი |
| | | განხორციელდა | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა სსკ-ების სრული შემადგენლობისთვის განახორციელა  ტრენინგი „საზოგადოებასთან ურთიერთობა“.  თავდაპირველად დაგეგმილი იყო ტრენინგი მხოლოდ მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით, თუმცა შემდეგ მას დაემატა მოდულები: საარჩევნო ადმინისტრაციის პოზიციონირება, მედიასთან მუშაობის ძირითადი პრინციპები, კრიზისები და კონფლიქტები, დეზინფორმაცია, სოციალური ქსელის შესაძლებლობები. | 100 % | სატრენინგო მოდული მედიასთან ურთიერთობა შემუშავებულია<br><br>სსკ-ების არანაკლებ 100 წევრისთვის ტრენინგი ჩატარებულია | გათვალისწინებული ერთი მოდულის ნაცვლად, ჩატარდა ტრენინგი „საზოგადოებასთან ურთიერთობა”<br><br>ტრენინგი გაიარა სსკ-ების სრულმა შემადგენლობამ | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიმდინარე - მეტწილად შესრულდა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა არსებული სატრენინგო მოდულის „შშმ პირებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ“ საფუძველზე მოამზადა პრეზენტაცია, რომელიც 2022 წლის 6 ოქტომბერს დისტანციური შეხვედრის ფორმატში წარედგინა სსკ-ების წევრებს.<br><br>შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შშმ პირებისათვის შეთავაზებული სერვისების, საარჩევნო უბნის მისაწვდომობის სტანდარტების, შშმ პირებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების შესახებ.<br><br>აღნიშნულ თემატიკაზე ტრენინგები არ ჩატარებიათ ცესკოს აპარატის თანამშრომლებს, ვინაიდან დეპარტამენტმა ტრენინგები ჩაატარა სხვა მიმართულებით, რაც უკავშირდებოდა ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესს. | 80 % | სატრენინგო მოდული „შშმ პირებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ” შემუშავებულია<br><br>სსკ-ების არანაკლებ 260 წევრისთვის და ცესკოს აპარატის არანაკლებ 100 თანამშრომლისთვის ტრენინგი ჩატარებულია | შემუშავდა სატრენინგო მოდული „შშმ პირებთან საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ”<br><br>ტრენინგი ჩატარდა სსკ-ების 356 წევრისთვის, ხოლო ცესკოს აპარატის არანაკლებ 100 თანამშრომლისთვის ტრენინგი არ ჩატარებულა | სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი |
| | | განხორციელდა | 2022 წლის 21-22 სექტემბერს, ცესკოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან პარტნიორობით, სწავლების ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო კურსი „არჩევნები და გენდერული თანასწორობა“. კურსის ფარგლებში განიხილეს არადისკრიმინაციული, გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული გარემოს განმტკიცებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის მიერ დასაცავი პროფესიული საქმიანობის სტანდარტები. მონაწილეები გაეცნენ საკანონმდებლო ჩარჩოსა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საერთაშორისო ინსტრუმენტებს; საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ჭრილში განხილულ იქნა ცესკოს თავმჯდომარის 2022 წლის 23 მაისის №01-85 ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციების მნიშვნელოვანი ასპექტები საარჩევნო ადმინისტრაციაში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებთან დაკავშირებით. | 100 % | სატრენინგო მოდული „გენდერული თანასწორობა” შემუშავებულია<br><br>სსკ-ების არანაკლებ 255 წევრისთვის და ცესკოს აპარატის არანაკლებ 100 თანამშრომლისთვის ტრენინგი ჩატარებულია | შემუშავდა სატრენინგო მოდული<br><br>სასწავლო კურსი გაიარა 363-მა პირმა, აქედან სსკ-ების 318-მა წევრმა და ცესკოს აპარატის 45-მა თანამშრომელმა | სწავლების ცენტრი<br><br>ცესკოს გენდერული საბჭო |
| | | განხორციელდა | საფინანსო და ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტებმა, სსკ-ების საფინანსო საქმიანობის შესწავლის შედეგად, განსაზღვრეს სსკ-ების ბუღალტრების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შედეგები წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელობას. | 100 % | სსკ-ების ბუღალტრებისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების იდენტიფიცირება სსკ-ების საფინანსო საქმიანობის შესწავლის შედეგად განხორციელებულია<br><br>შესწავლის შედეგების შესახებ დოკუმენტი წარმოდგენილია | განისაზღვრა ბუღალტრებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები<br><br>ცესკოს ხელმძღვანელობას წარედგინა დოკუმენტი შედეგების შესწავლის შესახებ | საფინანსო დეპარტამენტი<br><br>ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |
| 5.2.1.5 | სსკ-ების ბუღალტრების საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა | განხორციელდა | საფინანსო და ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტებმა, სსკ-ების საფინანსო საქმიანობის შესწავლის შედეგად, განსაზღვრეს სსკ-ების ბუღალტრების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შედეგები წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელობას. | 100 % | სსკ-ების ბუღალტრებისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების იდენტიფიცირება სსკ-ების საფინანსო საქმიანობის შესწავლის შედეგად განხორციელებულია<br><br>შესწავლის შედეგების შესახებ დოკუმენტი წარმოდგენილია | განისაზღვრა ბუღალტრებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები<br><br>ცესკოს ხელმძღვანელობას წარედგინა დოკუმენტი შედეგების შესწავლის შესახებ | საფინანსო დეპარტამენტი<br><br>ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.2.2 | **ამოცანა** | ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება და წახალისება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | კვალიფიციური ადამიანური კაპიტალი შენარჩუნებულია, წახალისების მექანიზმები დანერგილია | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.2.2.1 | კადრების რეკრუტირების პროცესის გაუმჯობესება | განხორციელდა | საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური კადრების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტმა შექმნა შემდეგი მექანიზმები:<br>• დასაქმების ფორუმის ფარგლებში შედგა შეხვედრა ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტებთან;<br>• შეიქმნა ვაკანტურ პოზიციებზე განცხადების წარდგენის ელექტრონული პლატფორმა;<br>• ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა თანამშრომელთა განვითარების ტრენინგების 2022 წლის გეგმა;<br>• ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განისაზღვრა არამატერიალური წახალისების ღონისძიებები. | 100 % | კვალიფიციური კადრების შენარჩუნების და განვითარების გზები შემუშავებულია<br><br>კვალიფიური კადრების მოზიდვა/შერჩევის შესაბამისი ღონისძიებები განხორციელებულია<br><br>არამატერიალური წახალისების ფორმები განსაზღვრულია | კვალიფიციური კადრების შენარჩუნების და განვითარებისთვის შემუშავდა 4 მექანიზმი<br><br>განხორციელდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა/შერჩევის ღონისძიებები<br><br>განისაზღვრა არამატერიალური წახალისების ფორმები | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი<br><br>სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი |
| 5.2.3 | **ამოცანა** | ორგანიზაციული ეთიკისა და კორპორატიული კულტურის განმტკიცება | | | | | |
| | **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | ორგანიზაციული ეთიკის და კორპორატიული კულტურის განსამტკიცებლად განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა | | | | | |
| **N** | **საქმიანობა** | **საქმიანობის სტატუსი*** | **საქმიანობის აღწერა*** | **პროგრესი (%)*** | **საქმიანობის შესრულების ინდიკატორი** | **საქმიანობის შედეგი ინდიკატორთან მიმართებაში** | **ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი** |
| 5.2.3.1 | გუნდში კორპორატიული კულტურის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება | განხორციელდა | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტმა გაიმართა 2 შეხვედრა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის ეთიკური პრინციპებისა და ფასეულობების შესახებ:<br><br>* ტრენინგი ეთიკური პრინციპებისა და ფასეულობების შესახებ;<br>* 2022 წლის დეკემბრის თვეში განხორციელებული გასვლითი შეხვედრის ფარგლებში - სესია ეთიკის პრინციპებისა და ღირებულებების შესახებ.<br><br>კორპორატიული კულტურის განმტკიცების მიზნით განხორცილედა რვა აქტივობა:<br>• ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის პრეზენტაცია;<br>• სსკ-ების უხუცესი წევრების დაჯილდოება;<br>• ექსკურსია – „რთველი კახეთში“;<br>• აღდგომის დღესასწაულის 3 სოციალური აქცია;<br>• ჰუმანიტარული დახმარების აქცია უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად;<br>• კვლევა ცესკოს აპარატში კორპორატიული კულტურის მიმართულებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით;<br>• 2022 წლის დეკემბრის თვეში განხორციელდა გასვლითი შეხვედრა კახეთში - საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი სტრატეგიული გეგმის პროექტის გაცნობის/განხილვის, სამოქმედო გეგმის საქმიანობების განსაზღვრის, ასევე, მართვის გაძლიერების კუთხით, მართვის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების, ეთიკის პრინციპების და ღირებულებების და კომუნიკაციების მექანიზმის გაცნობა/განხილვა; ჩატარდა კვლევა გასვლით სამუშაო შეხვედრასთან დაკავშირებით თანამშრომელთა კმაყოფილების დასადგენად;<br>• 2022 წლის ივნისის თვეში, მოტივაცია, გუნდურობა და კორპორატიული კულტურის განვითარების კუთხით, ჩატარდა ტრენინგი/სალექციო კურსი, „თანამშრომელთა პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობის ხელშეწყობის” განხორციელების ფარგლებში. | 100 % | თანამშრომლებთან ეთიკური პრინციპებისა და ფასეულობების შესახებ არანაკლებ 2 შეხვედრა ჩატარებულია<br><br>გამართული ღონისძიებების რაოდენობა | ჩატარდა 2 შეხვედრა ეთიკური პრინციპებისა და ფასეულობების შესახებ<br><br>ჩატარდა 8 ღონისძიება | ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი |